



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

საშემსრულებლო ხელოვნება (კლავიშოანი საკრავები/ სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები /ვოკალი/ საგუნდო დირიჟორობა), ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი -

11.07.2023

დასკვნის წარდგენის

თარიღი: 31.08.2023

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რიმა პავლიონიენე, ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ჩხეიძე, სსიპ - ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რუსუდან თაყაიშვილი, სსიპ - ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ გორგოძე, შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	"საშემსრულებლო ხელოვნების (კლავიშოანი საკრავები/ სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები /ვოკალი/ საგუნდო დირიჟორობა)"
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Performing Arts (keyboard instruments/string instruments/wind instruments/vocals/choir conducting)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული, არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 12 დეკემბრის N266 გადაწყვეტილებით, (ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 30 დეკემბერი)
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	პროგრამაზე ეროვნული გამოცდებით, გამოცდების გარეშე და მობილობით (გარე და შიდა) მიღების წინაპირობაა შემოქმედებითი ტურის (სპეციალობა და მუსიკის თეორიის) გავლა.

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

	შემოქმედებითი ტური ტარდება ეროვნულ გამოცდებამდე.
--	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა (კლავიშიანი საკრავები/ სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები /ვოკალი/ საგუნდო დირიჟორობა)“ ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აწსუ) ქუთაისში, საქართველოში. პროგრამა შედგება ოთხწლიანი სწავლებისგან, რომელიც მოიცავს სულ 240 კრედიტს (ECTS). ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მუსიკოს-შემსრულებელი სიმებიანი ინსტრუმენტების, ჩასაბერი ინსტრუმენტების, ვოკალის, საგუნდო დირიჟორისა და კლავიშების სპეციალობით. პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში წარმატებული კარიერისთვის. პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს მიენიჭებათ აწსუ-ს ბაკალავრის ხარისხი კვალიფიკაციით „სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში“;

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ მუსიკალურ საგანმანათლებლო, კულტურულ დაწესებულებებში და შემოქმედებით ორგანიზაციებში, აუდიო ხელოვნებაში, ტელე და რადიომაუწყებლობაში, ხმის ჩამწერ ინდუსტრიაში; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში – სკოლამდელ განათლებაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სპეციალიზებულ მუსიკალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვა.

სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისაგან და 240 ECTS კრედიტი ნაწილდება 8 სემესტრზე. ყოველი სემესტრი შედგება 30 კრედიტისგან. პროგრამის სტრუქტურა ECTS მოცულობით ასეთია:

- სავალდებულო კურსები- 69 კრედიტი;
- არჩეული სპეციალობის შესაბამისი კურსები (კლავიშებიანი

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ინსტრუმენტები / სიმებიანი ინსტრუმენტები /
ჩასაბერი ინსტრუმენტები / ვოკალი / საგუნდო დირიჟორობა) – 136
კრედიტი;

- პროგრამის არჩევითი კურსების მოცულობა შეადგენს 25 კრედიტს.
- თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი;

1 ECTS კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო საათებს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკა და სხვა), გარდა ამისა, დამოუკიდებელ მუშაობას და კონსულტაციების დროს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს მიაწოდეს 32 გვერდიანი თვითშეფასების ანგარიში და დამხმარე დოკუმენტაცია (შემოთავაზებული პროგრამის/პროგრამის კურიკულუმის დეტალური მახასიათებლები, სასწავლო გეგმა, სასწავლო გეგმის რუკა, პროგრამის კურსების დეტალური სილაბუსები, განმახორციელებელი პერსონალის სიები და პირადი მონაცემები, ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ, ინფორმაცია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ და ა.შ.).

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი აწსუ-ში განახორციელა 2023 წლის 11 ივლისს, დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გასაუბრებები ჩაატარა ჩამოთვლილ ჯგუფებთან:

- 1) თვითშეფასების ჯგუფთან.
- 2) უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან,
- 3) პროგრამის ხელმძღვანელთან,
- 4) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან,
- 5) აკადემიური პერსონალთან და ხელმძღვანელებთან,
- 6) დამსაქმებლებთან,
- 7) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა აწსუ-ს პირველი სასწავლო შენობა (მისამართზე: თამარ მეფის 59), ასევე დაათვალიერა სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი მატერიალური და ტექნიკური ბაზა, მათ შორის ბიბლიოთეკის სასწავლო მართვის სისტემა, მთავარი დარბაზი და აუდიტორიები; ექსპერტთა ჯგუფი ესტუმრა 23-ე შენობასაც (მისამართი: ვ. გამსახურდიას 43ა), სადაც განთავსებულია პრაქტიკის ოთახები მუსიკალური შესრულებისთვის, საკონცერტო დარბაზები და სამუსიკო ბიბლიოთეკა. დაწესებულებაში ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელებს, რათა წარმოედგინათ წინასწარი მიგნებები.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ ხელახალი აკრედიტაციისთვის პროგრამის მომზადების პროცესი მიმდინარეობდა თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელებს, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის მჭიდრო თანამშრომლობით. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებამ ხაზი გაუსვა პროგრამის მნიშვნელობას ქუთაისის რეგიონისთვის. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის ყველას, აკრედიტაციის ვიზიტისას თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში

მონაწილეობისათვის.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1:

- ქვესტანდარტი 1.1 შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 1.2 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 1.3 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 1.4 შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 1.5 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 2:

- ქვესტანდარტი 2.1 შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 2.2 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 2.3 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 2.4 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 3:

- ქვესტანდარტი 3.1 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 4:

- ქვესტანდარტი 4.1 შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 4.3 შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 4.4 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 4.5 შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 5:

- ქვესტანდარტი 5.1 შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 5.2 შეესაბამება მოთხოვნებს
- ქვესტანდარტი 5.3 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

▪ რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 1.2

- o სასწავლო კურსის გუნდის დირიჟორის სწავლის შედეგი უნდა დაკორექტირდეს და უნდა ასახავდეს საგნის სპეციფიკას.

ქვესტანდარტი 1.3:

- o რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა კონკრეტულ სწავლის შედეგებთან (3, 6, 12) და გუნდის მომღერლებთან შესაბამისობაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სავალდებულო კურსებსა და შესაბამის სწავლის შედეგებს შორის სიზუსტე.

ქვესტანდარტი 1.5:

- o რეკომენდებულია სანიმუშო რეპერტუარის მოთხოვნების შედგენა სემესტრულად, რაც მეტად მკაფიოს გახდის იმ მასალის სირთულეს, რომლის შესწავლა და შესრულებაც მოუწევს სტუდენტ-შემსრულებელს.
- o სასწავლო მასალა საჭიროებს განახლებას. ხშირად, რეპერტუარი შემოიფარგლება კლასიკურ-რომანტიკული პერიოდის მუსიკის კანონზომიერებების შესწავლით.
- o ვინაიდან შეფასების ფორმები არ პასუხობს სასწავლო კურსის მიზნებს („თანამედროვე შემსრულებლობა“, „საგუნდო არანჟირება“, „საკრავთმცოდნეობა და პარტიტურის კითხვა“, „ჰარმონიის ისტორია და თეორია“, „მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი“, „პოლიფონია“ 1, 2) და ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რეკომენდებულია კურსის მიზნის კორექტირება, რათა იგი შეესაბამებოდეს შინაარსს და სწავლის შედეგს.
- o სავალდებულოა ლიტერატურის განახლება შემდეგ კურსებზე: „ქართული მუსიკის ისტორია“ 1, 2; „ფორტეპიანოს ხელოვნების კურსების ისტორია“ 1, 2; „ჩასაბერი ინსტრუმენტების საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია“.
- o კურსი „თანამედროვე შემსრულებლობა“ უნდა შეესაბამებოდეს სწავლის საფეხურს, რადგან ამჟამად ის არ შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტს და შესაბამისად არ არის ბაკალავრიატის საფეხურის დონის

ქვესტანდარტი 2.2:

- o გაფორმდეს მემორანდუმი ქუთაისის საოპერო თეატრთან, სასწავლო გეგმის ფარგლებში, სტუდენტების თეატრალური ორკესტრისა და გუნდის საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
- o დოკუმენტირებულ იქნას სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხი სხვადასხვა ანსამბლის კურსებში (ორკესტრი, გუნდი, კვარტეტი, ანსამბლი), რომლებიც საჭიროებენ დამატებით პერსონალს ან/და აღჭურვილობას.
- o რეკომენდებულია თეორიულ დისციპლინებში ზოგიერთი შემოქმედებითი ამოცანის ჩართვა (მაგალითად, მცირე ნაწარმოების კომპოზიცია [ვარიაციები, ფუგა, მინიატურა] განხილული პერიოდის / კომპოზიტორის სტილში [ბაროკო, კლასიკა, რომანტიზმი] კურსში "მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი").
- o იმისათვის, რომ პროგრამის ოფიციალურ განცხადებას შეესაბამებოდეს მტკიცება, რომ პროგრამის გავლის შემდეგ ბაკალავრებს შეუძლიათ დასაქმდნენ პედაგოგებად („საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში – პედაგოგიკა (სკოლამდელ განათლებაში,

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სპეციალიზებულ სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებში) და სხვა. ") პედაგოგიური უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია კურსებში თემებისა და სწავლების მეთოდების შეტანა, მაგალითად მეთოდოლოგიური სემინარები, პედაგოგიური პრაქტიკა მუსიკალურ სკოლაში.

ქვესტანდარტი 2.3:

- o სასწავლო გეგმაში მოცემული მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსს და თვითშეფასების ანგარიშს.
- o გადაიხედოს სამუსიკო-საშემსრულებლო სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდები: მუსიკის სწავლების მეთოდები კურსებში სოლო, ანსამბლი და სხვა სახის შესრულებაში (კლავიშებიანი ინსტრუმენტები (ფორტეპიანო), ვოკალი, სიმებიანი ინსტრუმენტები, ჩასაბერი ინსტრუმენტები, გუნდის დირიჟორობა, ვოკალური ანსამბლი, ანსამბლის კლასი, საოპერო სწავლება, ორკესტრის კლასი, სავალდებულო ფორტეპიანო) უნდა გამდიდრდეს ისეთი მეთოდებით, როგორებიცაა დისკუსიები, როლური პედაგოგიკა, შემთხვევის შესწავლა და ა.შ.

ქვესტანდარტი 2.4:

- o „აკადემიური წერის“ კურსში გამოყენებული პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და პლაგიატზე რეაგირების მექანიზმი ასევე უნდა მოქმედებდეს „საშემსრულებლო ხელოვნების“ პროგრამის სხვა შესაბამის კურსებში (რომლებშიც შედის შეფასების წერითი მეთოდები).
- o იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით და შეეძლოთ მისი სრულად გამოყენება, გასაჩივრების წესში არსებული ტექნიკური შეცდომა იმგვარად გამოსწორდეს, რომ მასში მიეთითოს სტუდენტების შესაძლებლობა გაასაჩივრონ ნებისმიერი შეფასება.

ქვესტანდარტი 3.1:

- o დაწესებულებამ უნდა გაამდიდროს თავისი საქმიანობა სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შესაქმნელად.
- o საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესის მართვის არსებულ ელექტრონულ სისტემაში.
- o სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების შედეგები უნდა გაანალიზდეს, რათა დაწესებულებამ მხედველობაში მიიღოს სტუდენტების უკუკავშირი.

ქვესტანდარტი 4.4:

- o რეკომენდებულია ელექტრონული მონაცემთა ბაზების დამატება, კონკრეტული მუსიკალური კატალოგები, რომლებიც შესაბამისია "საშემსრულებლო ხელოვნების" პროგრამისთვის, მაგალითად, მონაცემთა ბაზები RILM, RISM, ისევე როგორც ProQuest Ebook Central, JSTORE Music Collection, EBRARY COLLECTION, Naxos Music Library, "Music and Dance Online" (ProQuest), Medici TV EDU, Bloomsbury ვიდეო ბიბლიოთეკა, MGG Online, Taylor & Francis Online და ა.შ.

ქვესტანდარტი 5.3:

- o პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდებულია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება და ამგვარად, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკებისა და

მოთხოვნების ჩართვა შემდგომი განვითარებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ქვესტანდარტი 1.1.

- ჩამოყალიბდეს საშემსრულებლო ხელოვნების დეპარტამენტი - დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია აწსუ-ში პროგრამის განხორციელებასა და სტრატეგიაზე.
- აქტუალური იქნება რეგიონული კონცერტების გამართვა, რათა გაღრმავდეს თანამშრომლობები და გაიზარდოს აპლიკანტების რაოდენობა.
- სასურველია, შემოწმდეს და შესწორდეს ის ინტერნეტ ბმულები, რომლებიც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტაციაში, რადგან მათზე წვდომა არ ხდება.

ქვესტანდარტი 1.4.

- კრედიტების ლოგიკურად დაბალანსების მიზნით, სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და კრედიტების ხელახლა გადანაწილება სპეციალობის მოდულის სასწავლო კურსებში (ფორტეპიანო, ვოკალი, გუნდის დირიჟორობა), პროგრამის საჭიროებებზე ყურადღების გამახვილებით.
- პროგრამის სასწავლო გეგმის გადასინჯვა და კრედიტების განაწილების კორექტირება შესაძლებელია მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელი დოკუმენტის გადახედვის შემდეგ - შესაბამისად, რეკომენდებულია სასწავლო გეგმის ნიმუშის გადახედვა.

სასურველია, კლავიშებიანი კომპოზიციების მიმართულებით არსებულ სპეციალობის კურსში, კრედიტების მოცულობა შეიცვალოს შემდეგნაირად:

ფორტეპიანოს შესრულება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
არსებული	7	7	10	9	9	11	11	11
სასურველი	8	8	9	9	10	10	10	11

ქვესტანდარტი 1.5.

ი მიზანშეწონილია შეიცვალოს კურსის Choir Class and Team Work სათაურის ინგლისური ვერსია შემდეგნაირად: “Choir class and working with a choir”

ქვესტანდარტი 2.2:

- უადრესად გონივრული იქნება, კურსდამთავრებულთა კარიერის შესახებ ინფორმაციისთვის თვალყურის დევნება და ანალიზი; გაიზარდოს სტუდენტთა მოტივაცია და ჩართულობა უფრო მრავალფეროვან სახელოვნებო აქტივობებში.

სტანდარტი 4.1

- თვითშეფასების ანგარიშში, 21-ე გვერდზე, სექციაში მტკიცებულებები/ინდიკატორები, დოკუმენტი მოხსენიებულია სათაურით: „უკრაინის სოციალური მუშაკთა ასოციაციების ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლობითი საბჭოს რეზოლუცია No173. 28.02.2018. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგიის შესახებ“. სიტყვა - უკრაინული, სავარაუდოდ, ტექნიკური შეცდომაა. სასურველია, შეამოწმოს ყველა იურიდიული დოკუმენტი და დარწმუნდეს მათ სიზუსტეში.
- სასურველია სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, დაწესებულებამ გაზარდოს პერსონალის რაოდენობა საგუნდო დირიჟორის, კლავიშებიანი, სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების სპეციალისტების მიმართულებით.

ქვესტანდარტი 4.3:

- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში მეტი ახალი პროფესიონალის ჩართვა უდავოდ შექმნის პერსონალის განახლების თანმიმდევრულ და გონივრულ სტრატეგიას, სხვადასხვა თაობის და სხვადასხვა პროფესიონალიზმის დონის მქონე პირთა თანამშრომლობას და გააძლიერებს კვლევით/საშემსრულებლო საქმიანობას.
- სასურველია, შემუშავდეს რეზიუმეს (Curriculum Vitae) შაბლონი, რომელშიც იქნება დამოუკიდებელი განყოფილება, სადაც მიეთითება საშემსრულებლო საქმიანობა, რომელიც რეალურად შეესატყვისება სამეცნიერო შრომებისა და საქმიანობის დადგენილ კრიტერიუმებს; განყოფილებას შეიძლება ეწოდოს „მხატვრული ნამუშევრების სია“ და მოიცავდეს ქვე-სექციებს.

ქვესტანდარტი 4.4.

- No23 კორპუსის მოწყობა და მომზადება, რომელიც უნივერსიტეტმა უახლოეს მომავალში დაგეგმილ აქტივობად წარმოადგინა.

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფს, პირველ რიგში, სურს მადლობა გადაუხადოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს რეკომენდაციების დეტალური ანალიზისთვის.

ქვემოთ, მოყვანილია ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები. ასევე აღნიშნულია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესდების 22-41-ე და 272-11-ე მუხლის მიხედვით, ვიზიტის შემდგომი ცვლილებები (და ახლად მიღებული დოკუმენტები) არ შეიძლება იყოს გათვალისწინებული დასკვნაში; შესაბამისად, ზოგიერთი რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

მოსაზრებები ქვე-სტანდარტ 1.2-ის რეკომენდაციებზე მოყვანილ არგუმენტაციაზე

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ქვე-სტანდარტი 1.2-ის რეკომენდაცია („გუნდის დირიჟორის სწავლის შედეგი უნდა შესწორდეს და ასახავდეს საგნის სპეციფიკას“): „საგუნდო დირიჟორობის“ უნარების განყოფილებას დაემატა: "როგორც გუნდის მომღერალი, ასრულებს, სხვადასხვა ეპოქის და სტილის საგუნდო ნაწარმოებებს" (იხ. დანართი)". ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

მოსაზრებები ქვე-სტანდარტ 1.3-ის რეკომენდაციებზე მოყვანილ არგუმენტაციაზე

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ქვე-სტანდარტი 1.3-ის რეკომენდაცია („რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა სწავლის კონკრეტულ შედეგებთან (3, 6, 12) და გუნდის მომღერლებთან მიმართებით, სავალდებულო კურსებსა და შესაბამის სასწავლო შედეგებს შორის სიზუსტის უზრუნველსაყოფად“) გათვალისწინებული იყო: „კურიკულუმის რუკა გადაიხედა და შესწორდა 1.2 და 1.3 ქვესტანდარტებში მოცემული რეკომენდაციების მიხედვით (იხ. დანართი).“ ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

მოსაზრებები ქვე-სტანდარტ 1.4-ის რეკომენდაციებზე მოყვანილ არგუმენტაციაზე

1. ექსპერტები არაერთხელ აღნიშნავენ, რომ პროგრამაში „კრედიტების რაოდენობის ცვლილება არ ასახავს კომპეტენციების და სამუშაოს მოცულობის თანდათანობით ზრდას. გასაუბრების დროს, აღნიშნული საკითხი წამოიჭრა. პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა დაადასტურეს, რომ საშემსრულებლო რეპერტუარის სირთულე ზრდის კრედიტების მოცულობას“. მიუხედავად ამისა, ექსპერტები ხაზს უსვამენ კრედიტების ლოგიკურად დაბალანსების აუცილებლობას, განსაკუთრებით კრედიტების გადანაწილებას სპეციალობის მოდულის სასწავლო კურსებზე (ფორტეპიანო, ვოკალი, გუნდის დირიჟორობა). თუმცა, ექსპერტები აღიარებენ და ისიც ესმით, რომ კრედიტების განაწილების კორექტირება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო გეგმის შაბლონისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელი დოკუმენტის განხილვის შემდეგ, და რომ უსდ-ს სასწავლო გეგმები შეესაბამება დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას და რომ უსდ-ს კრედიტების განაწილების სისტემა არ აძლევს მათ კურსებისთვის განსხვავებული კრედიტების განსაზღვრის საშუალებას. ამიტომ, გადასინჯვას შეიძლება უფრო ხანგრძლივი პროცესი

დასჭირდეს; შესაბამისად, ექსპერტების გადაწყვეტილებით, ქვე-სტანდარტის 1.4-ის ორივე რეკომენდაცია გადატანილია რჩევების განყოფილებაში.

მოსაზრებები ქვე-სტანდარტ 1.5-ის რეკომენდაციებზე მოყვანილ არგუმენტაციაზე

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, „რეპერტუარის მოთხოვნები გაწერილია საშემსრულებლო ხელოვნების კურსების სილაბუსებში და სემესტრში შესასწავლ რეპერტუარში მითითებულია სირთულის მზარდი ტენდენცია“. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მოწოდებული დოკუმენტები არ წარმოაჩენს კომპეტენციების თანდათანობით ზრდას და საშემსრულებლო-შემოქმედებითი უნარების უწყვეტ გაუმჯობესებას, ამიტომ ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ სანიმუშო რეპერტუარის მოთხოვნები უნდა იყოს შედგენილი სემესტრულად, რაც დააზუსტებს იმ მასალის სირთულეს რომლის შესწავლა და შესრულებაც მოუწევს სტუდენტს-შემსრულებელს. უცვლელი რჩება რეკომენდაცია „სანიმუშო რეპერტუარის მოთხოვნების შედგენა სემესტრულად“.
2. ექსპერტებმა ამოიღეს რეკომენდაცია („რეკომენდებულია სპეციალობის სასწავლო კურსებში კრედიტების გადახედვა და რეპერტუარის მოთხოვნების, მიზნებისა და შედეგების დაზუსტება...“), რადგან ის ნაწილობრივ მოიცავს ქვე-სტანდარტ 1.4-ის რეკომენდაციებს.
3. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გათვალისწინებული იქნება ქვე-სტანდარტ 1.5 რეკომენდაცია („სასწავლო მასალა საჭიროებს განახლებას...“) და განახლდება სასწავლო მასალა. ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.
4. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ქვე-სტანდარტი 1.5-იდ რეკომენდაცია („რამდენადაც შეფასების ფორმები არ აკმაყოფილებს სასწავლო კურსის მიზნებს... რეკომენდებულია კურსის მიზნის კორექტირება, რათა შეესაბამებოდეს შინაარსს და სწავლის შედეგს.“) იქნა გათვალისწინებული, ტექნიკური შეცდომა გასწორდა და დაემატა პრაქტიკული კომპონენტი, ასევე გაიწერა შეფასების კრიტერიუმები. ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.
5. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გათვალისწინებულ იქნა ქვე-სტანდარტი 1.5-ის რეკომენდაცია, („აუცილებელია ლიტერატურის განახლება შემდეგ კურსებში...“), შესაბამისად განახლდება და შეივსება სავალდებულო ლიტერატურა. ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.
არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, კურსის სათაურის “Choir class and team work” თარგმანში ტექნიკური შეცდომა იყო. შესაბამისად, რეკომენდაცია (რეკომენდებულია რომ შეიცვალოს ინგლისურენოვანი სათაური Choir class and team work”, უფრო შესაბამისი სათაურით Choir class and working with a choir”), გადავიდა რჩევებში.
6. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გათვალისწინებულია ქვე-სტანდარტი 1.5-ის რეკომენდაცია („თანამედროვე პერფორმანსის კურსი“ უნდა შეესაბამებოდეს დონეს, რადგან ამჟამად ის არ შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტს და, შესაბამისად, არ არის ბაკალავრიატის დონეზე“) და კურსი შესწორდა. ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი. მიუხედავად ამისა, არგუმენტირებული პოზიციის განზრახვებიდან გამომდინარე, ექსპერტთა საბჭომ გადაწყვიტა მოეხსნა მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხება კურსის სახელწოდებას „თანამედროვე პერფორმანსი“, რადგან ახლა ეს რეკომენდაცია ზედმეტია (ანუ ექსპერტები რეკომენდაციას გაუწევდნენ კურსის

სათაურის გადახედვას და შეცვლას „მე-20 საუკუნის მუსიკის სტილის თეორიით“ ან „მე-20 საუკუნის მუსიკის ისტორია და თეორიით“ იმ შემთხვევაში, თუ უსდ შეინარჩუნებდა ამ კურსის ამჟამინდელ შინაარსსა და კონცეფციას) .

7. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გათვალისწინებულია ქვე-სტანდარტი 1.5-ის რეკომენდაცია („თანამედროვე პერფორმანსის კურსი“ უნდა შეესაბამებოდეს დონეს, რადგან ამჟამად ის არ შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტს და, შესაბამისად, არ არის ბაკალავრიატის დონეზე“) და კურსი შესწორდა. ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი. მიუხედავად ამისა, არგუმენტირებული პოზიციის განზრახვებიდან გამომდინარე, ექსპერტთა საბჭომ გადაწყვიტა მოეხსნა მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხება კურსის სახელწოდებას „თანამედროვე პერფორმანსი“, რადგან ახლა ეს რეკომენდაცია ზედმეტია (ანუ ექსპერტები რეკომენდაციას გაუწევდნენ კურსის სათაურის გადახედვას და შეცვლას „მე-20 საუკუნის მუსიკის სტილის თეორიით“ ან „მე-20 საუკუნის მუსიკის ისტორია და თეორიით“ იმ შემთხვევაში, თუ უსდ შეინარჩუნებდა ამ კურსის ამჟამინდელ შინაარსსა და კონცეფციას) .

მოსაზრებები ქვე-სტანდარტ 2.2-ის რეკომენდაციებზე მოყვანილ არგუმენტაციაზე

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ქუთაისის ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრსა და აწსუს-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.
2. ექსპერტები არაერთხელ ხაზს უსვამენ პროგრამაში შემოქმედებითი უნარების განვითარების მნიშვნელობას, ძალზე მნიშვნელოვანია თეორიულ დისციპლინებში შემოქმედებითი ამოცანების ჩართვა; შესაბამისად, ექსპერტები ინარჩუნებენ რეკომენდაციას („რეკომენდებულია თეორიულ დისციპლინებში შემოქმედებითი დავალებების შეტანა...“) ანგარიშში.
3. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამის აღწერილობის მიხედვით (იხ. პროგრამის სასწავლო გეგმა, განყოფილება „დასაქმების სფეროები“), პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრებს შეუძლიათ დასაქმდნენ პედაგოგებად: „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში – პედაგოგიკა (სკოლამდელ განათლებაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სპეციალიზებულ მუსიკალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში)“. თუმცა, ექსპერტებმა შენიშნეს, რომ პროგრამის სასწავლო გეგმას შესაბამის კურსებში არ გააჩნია პედაგოგიური უნარების განვითარებისთვის საჭირო თემები და სწავლების მეთოდები (როგორცაა მეთოდოლოგიური სემინარები, პედაგოგიური პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში და ა.შ.). უფრო მეტიც, არგუმენტირებულ პოზიციაში მოყვანილი წინადადება რომ, „კურსდამთავრებული არ შეიძლება დასაქმდეს მასწავლებლად“, ეწინააღმდეგება ციტირებული პროგრამის სასწავლო გეგმას. ასე რომ, ექსპერტები ხაზს უსვამენ პროგრამის კურსებში ისეთი თემებისა და სწავლების მეთოდების ჩართვას, რომლებიც ავითარებს პედაგოგიურ უნარებს; ამიტომ, რეკომენდაცია უცვლელი რჩება. სხვა შემთხვევაში, პროგრამის სასწავლო გეგმა არსებითად უნდა გადაიხედოს ზემოაღნიშნული განცხადების ამოღებით/წაშლით (ანუ წაიშალოს განცხადება: „პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრის დასაქმება შეიძლება პედაგოგად“), რადგან ეს განცხადება შეცდომაში შეიყვანს სტუდენტს და შეიძლება იგი არასწორად გაიგოს პროგრამის შესწავლის მსურველმა პირმა .

მოსაზრებები ქვე-სტანდარტ 2.3-ის რეკომენდაციებზე მოყვანილ არგუმენტაციაზე

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ქვე-სტანდარტ 2.3-ის ორივე რეკომენდაცია გათვალისწინებულია. ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.
1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ანტიპლაგიატის მექანიზმი (პროგრამა Turnitin) გამოიყენება სხვა კურსებშიც, როგორცაა: "მსოფლიო მუსიკის ისტორია", "ქართული მუსიკის ისტორია", "სიმებიანი ბენდის სამემსრულებლო ისტორია", "ფორტეპიანოს შესრულების ისტორია", "ვოკალური შესრულების ისტორია", "სასული ინსტრუმენტების ჯგუფის შესრულების ისტორია", "თანამედროვე პერფორმანსი". თუმცა, ეს არ დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს. გარდა ამისა, პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილზე მეტ კურსს, რომლებშიც უნდა დაინერგოს პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმი (მაგ., „მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი“, „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება“, „ზოგადი და მუსიკალური ესთეტიკა“, „ჰარმონიის ისტორია და თეორია“, „ზოგადი და მუსიკალური ფსიქოლოგია“ და სხვ.). ამდენად, რეკომენდაცია პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმებთან დაკავშირებით უცვლელი უნდა დარჩეს.
2. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, აწსუ დაეთანხმა რეკომენდაციას („უზრუნველყავით, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია გასაჩივრების მოქმედი მექანიზმის შესახებ...“) და განმარტა, რომ ტექნიკური შეცდომა უკვე გამოსწორებულია. ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს მხედველობაში ვერ მივიღებთ, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

მოსაზრებები ქვე-სტანდარტ 3.1-ის რეკომენდაციებზე მოყვანილ არგუმენტაციაზე

1. არგუმენტირებული პოზიციის განცხადება, რომ ინფორმაცია საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის არგუმენტად რეკომენდაციის შესაცვლელად („დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობა სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შესაქმნელად“). პირველ რიგში, რეკომენდაცია ეხება გაცვლითი პროგრამების არსებობას და არა სტუდენტების ინფორმირების მექანიზმებსა და მათ ეფექტურობას. ექსპერტთა ჯგუფი ასევე განმარტავს, რომ აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში ფასდება კონკრეტული პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები და არა ამ მხრივ მთელი დაწესებულების მდგომარეობა. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.
2. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, აწსუ ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს, იმისათვის, რომ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე „სამემსრულებლო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვა იყოს უზრუნველყოფილი. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფისთვის არ მიუწოდებიათ ამ მხრივ განხორციელებული სამუშაოების მტკიცებულებები. სამემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2019 წლის შემდეგ. თუმცა, დაწესებულებას არ მიუწოდებია არანაირი არგუმენტი გასაუბრების დროს იმის დასაზუსტებლად, თუ რატომ ვერ იყვნენ პროგრამის სტუდენტები ჩართული eDean-ში. ამ მიზეზით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდაცია („სამემსრულებლო ხელოვნების პროგრამის სტუდენტები უნდა ჩაერთონ სასწავლო პროცესის მართვის არსებულ ელექტრონულ სისტემაში“) უნდა დარჩეს უცვლელი.
3. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ანალიზი კეთდება წარმოდგენილი კითხვარების საფუძველზე. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტებმა მოითხოვეს ამ

ანალიზის დოკუმენტი, მაგრამ ვერ მიიღეს. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია („სტუდენტთა მიერ ლექტორების შეფასების შედეგები უნდა გაანალიზდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ დაწესებულება მხედველობაში იღებს სტუდენტების უკუკავშირს“) რჩება უცვლელი.

მოსაზრებები ქვე-სტანდარტ 4.1-ის რეკომენდაციებზე მოყვანილ არგუმენტაციაზე

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, აწსუ-ს დოკუმენტაციაში მითითებული სიტყვა „უკრაინა“ - იყო თარგმანში დაშვებული ტექნიკური შეცდომა. შესაბამისად, ამ რეკომენდაციამ გადაინაცვლა რჩევებში.

მოსაზრებები ქვე-სტანდარტ 5.3-ის რეკომენდაციებზე მოყვანილ არგუმენტაციაზე

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, პროგრამის აკრედიტაციის პროცესში დაწესებულებამ გაითვალისწინა ადგილობრივი ქართული უნივერსიტეტების გამოცდილება; გაგრძელდება უცხოური უნივერსიტეტების კარგი პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი. ამრიგად, რეკომენდაცია „პროგრამის განვითარებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება“ უცვლელი რჩება.

ექსპერტები გულწრფელად იმედოვნებენ, რომ მოცემული რეკომენდაციები სასარგებლო იქნება პროგრამის შინაარსის გაძლიერების, გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ აკრედიტირებულია 2019 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No266, 19.12.2019წ.). ხელახალი აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში პროგრამამ განიცადა ცვლილებები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის No69/ნ ბრძანების 1-ლი დანართით დამტკიცებული „კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს“ კომპეტენციების აღმწერისა და ამ ბრძანების მე-2 დანართით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“, ასევე აკრედიტაციის სტანდარტების და მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განსახილველ პროგრამას წარმოადგენს საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა (კლავიშოანი საკრავები/ სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები /ვოკალი/ საგუნდო დირიჟორობა), რომელიც ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აწსუ) ქუთაისში, საქართველოში. პროგრამა ოთხი წელი ისწავლება და მოიცავს სულ 240 კრედიტს (ECTS; პროგრამის დეტალური სტრუქტურა წარმოდგენილია ამ ანგარიშის 1.4 ქვესტანდარტში).

პროგრამა გადის ხელახალი აკრედიტაციის პროცესს. საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება No266, 19.12.2019წ.). ხელახალი აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში პროგრამამ განიცადა ცვლილებები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის No69/ნ ბრძანების 1-ლი დანართით დამტკიცებული „კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს“ კომპეტენციების აღმწერისა და ამ ბრძანების მე-2 დანართით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“, ასევე აკრედიტაციის სტანდარტების და მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

პროგრამის აღწერა განთავსებულია და საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.atsu.edu.ge და ბეჭდურ პუბლიკაციებში (უნივერსიტეტის პროგრამების კატალოგი).

პროგრამის მიზანი შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების მე-3 მუხლით განსაზღვრული დეტალური სწავლის სფეროს შინაარსს, მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების დარგობრივ მახასიათებლებს, აწსუ-ს მისიას, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას. გარდა ამისა, აწსუ-მ შეიმუშავა სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ლოგიკური და თანმიმდევრული პროცესი. აწსუ-ის მისიაა როგორც

აკადემიური, ასევე პროფესიული პროგრამების განხორციელება. სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, აწესი მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონის და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს უწყვეტ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მომსახურებას, გამოიმუშავებს და ავრცელებს ახალ ცოდნას და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად არის ჩართული საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესში. აწესის მისია წარმოდგენილია შემდეგი პუნქტებით:

- უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;
- პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაში წვლილის შეტანა უახლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით;
- განახლებული აქტუალური კვლევითი სამუშაოების ჩატარება;
- პედაგოგიურ და კვლევით საქმიანობაში რეგიონებისა და ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების პროგნოზირება;
- წვლილის შეტანა საზოგადოებაში ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ქართული და მსოფლიო კულტურული ფასეულობების დანერგვაში.

გარკვეული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარება პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნების“ კურსდამთავრებულებში. ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მუსიკოს-შემსრულებელი სიმებიანი ინსტრუმენტების, ჩასაბერი ინსტრუმენტების, ვოკალის, საგუნდო დირიჟორისა და კლავიშების სპეციალობით. სტუდენტებთან მიმართებით, პროგრამის მიზნებია:

- მუსიკალური კულტურის, ჟანრების, ფორმებისა და სტილის შესახებ ცოდნის მიწოდება ისტორიული განვითარების ეტაპებზე;
- ეროვნული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების გაზიარება;
- მუსიკალური ესთეტიკური აზროვნების უნარის ჩამოყალიბება, კულტურულ ფასეულობებზე ორიენტირება და პატივისცემა;
- განავითაროს ანალიტიკური, პრაქტიკული, შემოქმედებითი და პროფესიული ეთიკური უნარები.

პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც განვითარებულია კურსდამთავრებულებში (ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციები დეტალურად წარმოდგენილია ანგარიშში, 1.2 ქვესტანდარტის მიმოხილვაში). პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრის დასაქმება შესაძლებელია:

- მუსიკალურ საგანმანათლებლო, კულტურულ დაწესებულებებში და შემოქმედებით ორგანიზაციებში, აუდიო ხელოვნებაში, ტელე და რადიომუშაობაში, ხმის ჩამწერ ინდუსტრიაში;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში – პედაგოგიურ საქმიანობაში (სკოლამდელ განათლებაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სპეციალიზებულ მუსიკალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში) და სხვა.

პროგრამა იძლევა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობას მაგისტრატურაში, სწავლის შემდეგ საფეხურზე.

პროგრამის წვლილი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამას „საშემსრულებლო ხელოვნება“, რომელიც ორიენტირებულია ქუთაისის, რეგიონისა და ქვეყნის საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრების განვითარებაზე; პროგრამა მიმართულია რეგიონის საჭიროებებზე. ამიტომ, ხელახალი აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში, პროგრამას დაემატა საგუნდო სადირიჟორო სპეციალობა, რაც შესაძლებელი გახდა მუსიკაში დარგობრივი დოკუმენტის შემუშავებისა და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოში ცვლილებების განხორციელების შემდეგ. მუსიკის დარგობრივ დოკუმენტში საგუნდო დირიჟორობა წარმოდგენილია, როგორც საშემსრულებლო ხელოვნების ქვე-სპეციალობა. საგუნდო დირიჟორობის დამატების გადაწყვეტილება ეფუძნებოდა არსებული ვითარების შესწავლას, ანუ გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები და დარგის განვითარების ტენდენციები. გარდა ამისა, შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა, გადამუშავდა სწავლის შედეგები და კვალიფიკაცია მოვიდა აღმწერთან შესაბამისობაში.

ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული დისკუსიებიდან ირკვევა, რომ არსებობს პროცესები პროგრამის უწყვეტი შეფასებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი შესაბამისობა მუდმივად განვითარებად და ცვალებად გარემოში. აწსუ-ს ადმინისტრაციის გუნდმა ხაზი გაუსვა პროგრამის მნიშვნელობას უნივერსიტეტისთვის. თუმცა, ამ დრომდე პროგრამის განხორციელებას ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფი და არა სასწავლო განყოფილება/დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული აწსუ-ში. 2019 წელს პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ, აწსუ-ში არ არსებობს საშემსრულებლო ხელოვნების (ან მუსიკის განყოფილება ადმინისტრაციის თანამშრომლებთან გასაუბრებისას აღინიშნა მუსიკის დეპარტამენტის ჩამოყალიბების ხედვა. მიზანშეწონილია შეიქმნას დამოუკიდებელი განყოფილება (მაგ. საშემსრულებლო ხელოვნების დეპარტამენტი) რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროგრამის განხორციელებაზე, მისი შიდა/გარე/საერთაშორისო სტრატეგიის მოდელირებაზე და კომპლექსური აქტივობებისა და ამოცანების დაგეგმვასა და ა.შ.

ასევე, აღნიშნულია, რომ პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ, 2019 წელს, პროგრამაში 30-ზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა. ამიტომ, სასურველია პროგრამის სტუდენტებისა და ხელოვნების მიმართულებით არსებული პერსონალის აქტივობებში ჩართვა, რათა გააფართოვონ და გააძლიერონ თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობა რეგიონში (მაგ. კონცერტების, მოლაპარაკებების, დისკუსიების, საჯარო ლექციების ჩატარება მუსიკალური სკოლის მოსწავლეებისთვის), თანამშრომლობების გაღრმავებისთვის, სასწავლო პროგრამის ხელშეწყობისთვის, ახალი აბიტურიენტების მოძიებისა და მოტივირებისთვის. „საშემსრულებლო ხელოვნების“ დეპარტამენტი შეიძლება იყოს პასუხისმგებელი რეგიონში ღონისძიებების წლიური გეგმის/განრიგის მოდელირებაზე.

შენიშვნა აწსუ-ს ვებგვერდთან დაკავშირებით: გირჩევთ, შეამოწმოთ და შეასწოროთ ის ინტერნეტ ბმულები, რომლებიც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტაციაში, რადგან მათზე წვდომა არ ხდება. მაგალითად: (<https://atsu.edu.ge/index.php/mission-geo>; <https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo>)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი, სილაბუსები და ა.შ.)
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა
- აწსუ-ს ვებგვერდი www.atsu.edu.ge
- აწსუ-ს პროგრამების კატალოგი <https://cdn.atsu.edu.ge/files/docs2022/catalog-2021-2022.pdf>
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- ჩამოყალიბდეს საშემსრულებლო ხელოვნების დეპარტამენტი - დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია აწსუ-ში პროგრამის განხორციელებასა და სტრატეგიაზე.
- აქტუალური იქნება რეგიონული კონცერტების და სხვა ფორმის შემოქმედებითი აქტივობებისა და ღონისძიებების გამართვა, რათა გაღრმავდეს თანამშრომლობები და გაიზარდოს აპლიკანტების რაოდენობა.
- გირჩევთ, შეამოწმოთ და შეასწოროთ ის ინტერნეტ ბმულები, რომლებიც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტაციაში, რადგან მათზე წვდომა არ ხდება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1. პროგრამა მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის ყოვლისმომცველ ამოცანებთან, მკვეთრად ორიენტირებულია ცოდნაზე, უნარებსა და იმ

კომპეტენციებზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის ამოცანებით. სწავლის შედეგები მჭიდროდ შეესაბამება დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები) მოთხოვნებს, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ სწავლის შედეგების განვითარებაში. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა სამ ჯგუფად, შემდეგნაირად:

1) ცოდნა და გაცნობიერება: - აღწერს მუსიკის თეორიისა და ისტორიის ძირითად ეტაპებს, სტილებს და ჟანრებს და აკავშირებს მათ შესაბამის მუსიკალურ მასალასთან; - ისტორიული ასპექტით განსაზღვრავს მუსიკის ადგილს, როლს და მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში; ავლენს ცოდნას მუსიკალური ხელოვნების ზოგადი სტრუქტურის შესახებ და სხვა დარგებთან მის ურთიერთობაზე; - ესმის შესაბამისი სპეციალობის სოლო და ანსამბლური რეპერტუარი პროფესიულ დონეზე.

2) უნარები: - ავლენს თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების წინაშე არსებული რთული პრობლემების დამოუკიდებლად და ორიგინალურად გადაჭრის უნარს; - აანალიზებს საშემსრულებლო ხელოვნების სხვადასხვა ეპოქის სტილის, ფორმის, ჟანრის ესთეტიკურ პრინციპებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას/წარმოდგენას; - ახორციელებს საკუთარ მუსიკალურ იდეებს/მასალას გამოხატვის სხვადასხვა საშუალებებით. ასევე, არსებობს რამდენიმე ინდიკატორი მუსიკის თითოეული მიმართულებისთვის: კლავიშებიანი ინსტრუმენტები-ფორტეპიანო – ასრულებს სოლო და ანსამბლ რეპერტუარს და კონცერტმაისტერის ფუნქციას; საორგესტრო სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტები - ასრულებს როგორც სოლო რეპერტუარს, ასევე უკრავს სიმფონიურ, კამერულ ორკესტრში და სხვა ანსამბლებში; ვოკალი - დირიჟორობს სოლო კონცერტს, ასევე მონაწილეობს საოპერო სპექტაკლებში (როგორც სოლისტი / გუნდის მომღერალი) და სხვადასხვა სახის გუნდებსა და ანსამბლებში; გუნდის დირიჟორობა – ორგანიზებას უწევს და მართავს გუნდს/ქოროს. ეს უკანასკნელი შედეგი (ორგანიზებას უწევს და მართავს გუნდს) არასაკმარისია გუნდის დირიჟორის უნარების აღსაწერად, რადგან გუნდის დირიჟორის სპეციალობა უფრო შემოქმედებით უნარებს მოიცავს; ამიტომ გუნდის დირიჟორის სწავლის შედეგი უნდა დაკორექტირდეს და ასახავდეს საგნის სპეციფიკას.

3) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: - პატივს სცემს ეროვნული და მსოფლიო კულტურული საშემსრულებლო ხელოვნების მემკვიდრეობას; - ავლენს პროფესიულ პასუხისმგებლობას, პარტნიორებთან შემოქმედებით თანამშრომლობას და გუნდში მუშაობის უნარს; - პროფესიულ საქმიანობაში იცავს ეთიკურ პრინციპებს.

ზოგადად სწავლის შედეგები უმეტესწილად გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. სწავლის შედეგებსა და მიზნებს შორის შესაბამისობის რუკაზე ნაჩვენებია როგორც ამ კომპონენტების ძირითადი თავსებადობა, ასევე სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

მოკლე შენიშვნები არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით:

არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ქვე-სტანდარტი 1.2 -ის რეკომენდაცია: „საგუნდო დირიჟორობის“ უნარების განყოფილებას დაემატა: „ როგორც გუნდის მომღერალი, ასრულებს სხვადასხვა ეპოქის და სტილის საგუნდო ნაწარმოებებს" (იხ. დანართი)". ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები მხედველობაში არ მიიღება; შესაბამისად,

რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o საგანმანათლებლო პროგრამა
- o აწსუ-ს ვებგვერდი www.atsu.edu.ge
- o პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა
- o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში სტუდენტების უნარების განვითარება.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ ორიენტირებულია ბაკალავრიატის სტუდენტის პრაქტიკული, თეორიული და ტრანსფერი უნარების განვითარებაზე. პროგრამის სასწავლო გეგმაში გამოყენებულია აქტივობები, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება სწავლის შედეგების შესაბამისად აღნიშნული უნარების განვითარებაში. 4 წლიანი / 8 სემესტრიანი / 240 კრედიტიანი პროგრამა შედგება პროგრამის სავალდებულო და სპეციალობის სავალდებულო კურსებისგან (სულ 205 კრედიტი, 69 და 136 კრედიტი) და არჩევითი და თავისუფალი კურსებისგან (რომელიც მოიცავს დარჩენილ 35 კრედიტს).

პროგრამის სავალდებულო კურსები მოიცავს 10 საგანს, რომლებიც I–VII სემესტრებში ნაწილდება და სტუდენტებისთვის თეორიული/კვლევითი ცოდნისა და შემოქმედებითობის რეალიზაციის ფართო შესაძლებლობის მიცემას ემსახურება. სპეციალობის მიხედვით, სავალდებულო კურსების სია შედგენილია სხვადასხვა საგნისგან და ძირითადად, სპეციალურ მომზადებაზეა დაფუძნებული: 7 განსხვავებული საგანი ფორტეპიანოს სპეციალობაში, 8 – სიმებიანი, 8 – ჩასაბერი, 15 –

სოლო აკადემიური სიმღერა, 11 – საგუნდო დირიჟორობა. სასწავლო კურსების სილაბუსებში დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურადაა გაწერილი აქტივობები (ჯგუფში აქტიურობა, დისკუსია, ფურცლიდან კითხვა და ანალიზი, პერფორმანსი, რეპეტიცია, საჯარო გამოსვლებში მონაწილეობა, შემოქმედებითი პროექტი, პრეზენტაცია, ესე, რეფერატი და სხვ.), რაც ორიენტირებულია შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

არჩევითი კურსების სია 5 ჯგუფად არის წარმოდგენილი და თითოეულ ჯგუფში კურსის არჩევა შესაძლებელია 2 ან 3 ვარიანტიდან. თავისუფალი კრედიტების კურსები არ არის მითითებული. არჩევითი კურსები ორიენტირებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის გუნდმა ხაზი გაუსვა, რომ გაიზარდა არჩევითი კურსების რაოდენობა; სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს მეორე უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობას. მეორე უცხო ენის არჩევით კურსად შეთავაზება განხორციელდა სტუდენტების მოთხოვნის გათვალისწინებით; აწსუ დიდ მრავალფეროვნებას სთავაზობს უცხო ენების შესწავლის მხრივ: 4 განსხვავებული ენა, როგორც სავალდებულო ან/და არჩევითი კურსი, რომელსაც 13 სხვადასხვა მოწვეული სპეციალისტი კითხულობს.

ზოგადად, პროგრამის პრაქტიკული / შემოქმედებითი / სამემსრულებლო კომპონენტი შეესაბამება სწავლის შედეგებსა და შესაბამისი განათლების საფეხურს. თუმცა, შეიძლება აღინიშნოს რამდენიმე პრობლემური საკითხი:

1. ზემოთ მოცემულ ანგარიშში (1.4 და 1.5 ქვესტანდარტების მიმოხილვაში) მოცემულია რეკომენდაციები კრედიტების განაწილების, სილაბუსების, ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის განახლებასთან დაკავშირებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სტუდენტების უნარ-ჩვევების, კომპეტენციებისა და ცოდნის განვითარებასთან. გარდა ამისა, სილაბუსების ანალიზმა და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ თეორიულ კურსებში შემოქმედებითობაზე ორიენტირება შეზღუდულად ან საერთოდ არ ხდება. ამიტომ, შემოქმედებითი უნარების გამომუშავების მიზნით, რეკომენდებულია თეორიულ დისციპლინებში ზოგიერთი შემოქმედებითი დავალების შეტანა (მაგალითად, მცირე ნაწარმოების შედგენა [ვარიაციები, ფუგა, მინიატურა] განხილული პერიოდის / კომპოზიტორის სტილში [ბაროკო, კლასიკა, რომანტიზმი.] კურსში „მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი“).

2. პროგრამა „სამემსრულებლო ხელოვნება“ მინიჭებული აქვს აკრედიტაცია და მოქმედია 2019 წლიდან, მიუხედავად ამისა სტუდენტთა ძალიან მცირე რაოდენობამ, განსაკუთრებით სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების სპეციალობებში, შესაძლოა წამოწიოს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების სწორად განვითარების პრობლემა. ეს ეხება კურსებს „ორკესტრის კლასი“ და „კვარტეტის კლასი“ , რომლებიც საჭიროებენ ჯგუფურ/ანსამბლურ პრაქტიკას. რაც შეეხება კურსს „ორკესტრის კლასი“, სტუდენტებისა და ქუთაისის საოპერო თეატრის წარმომადგენლის თქმით, სტუდენტები მიწვეულნი არიან მიიღონ მონაწილეობა/დაუკრან თეატრალურ ორკესტრში კურსის "ორკესტრის კლასი" ფარგლებში. რაც შეეხება კურსს „კვარტეტის კლასი“ (კურსს სჭირდება 4 წევრი), ამჟამად სწავლობს 3 სიმებიანი საკრავის სტუდენტი (2 ვიოლინო, 1 ჩელო); სტუდენტების განმარტებით, სემესტრის ბოლოს, შემსრულებელ სტუდენტებს შეუერთდება ინსტრუმენტი ალტი (სრულდება თეატრის ორკესტრის მუსიკოსის მიერ). ორი პრობლემური ასპექტი: 1) აწსუ-ს არ აქვს დადასტურებული მემორანდუმი ან სხვა სახის

შეთანხმება თეატრის ორკესტრთან და მუსიკოსებთან ასეთი ტიპის თანამშრომლობის შესახებ; ადგილზე ვიზიტის დროს წარადგინეს მემორანდუმის პროექტი აწსუ-სა და ქუთაისის ოპერის თეატრს შორის. 2) „კვარტეტის კლასის“ კურსის განხორციელება და სპეციფიკა მოითხოვს სემესტრის დაწყებისთანავე 4 წევრისგან შემდგარი სრული ანსამბლის შეგროვებას; ეს იძლევა უწყვეტი ვარჯიშის შესაძლებლობას და არა მხოლოდ სემესტრის ბოლოს. მნიშვნელოვანია: „კვარტეტის კლასის“ სილაბუსში სემესტრში 30 სმენითი საათიდან 12 საათი ენიჭება „ანსამბლში მუშაობას“. ამრიგად, სემესტრის ბოლოს დამატებითი სპეციალისტის/მუსიკოსის მოწვევა არ ემთხვევა კურსის აღწერას. იგივე პრობლემა წარმოიქმნება საგუნდო დირიჟორობის სპეციალობაში, კურსების „საგუნდო დირიჟორობა“ და „საგუნდო კლასი და გუნდთან მუშაობა“ განხორციელებისას (აღსანიშნავია, რომ ქართულად საგნის სათაური ნიშნავს „საგუნდო კლასი და გუნდთან მუშაობა“ და არა "გუნდური მუშაობა"; ინგლისური თარგმანის შემოწმებისა და შეცვლის რჩევა მოცემულია ქვესტანდარტში 1.5). უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტი კურსის სათანადო იმპლემენტაციით უზრუნველყოს, ანსამბლში მეცადინეობის სასწავლო პროცესის ორგანიზება საჭიროებს დოკუმენტებით დადასტურებას. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში დაზუსტდეს და ოფიციალურად გაფორმდეს მემორანდუმი აწსუ-სა და ქუთაისის ოპერის თეატრს შორის თანამშრომლობისა და პროგრამის სტუდენტების თეატრალურ ორკესტრში და გუნდში მონაწილეობის, ასევე საჭირო პროფესიონალების მთელი კურსის განმავლობაში მოწვევის შესახებ.

3) გასაუბრებისას, დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს „საშემსრულებლო ხელოვნების“ პროგრამაში ქუთაისის რეგიონის სამუსიკო და სხვა სკოლებისთვის ახალი პედაგოგების საჭიროების მნიშვნელობას.

აკრედიტაციის დოკუმენტების ანალიზმა, შრომისა და განათლების ბაზრის კვლევამ 2021-2022 (საშემსრულებლო ხელოვნება), ასევე დაადასტურა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთ-ერთი ყველაზე რეალური სფერო სამუსიკო სკოლაში სწავლებაა. პედაგოგიური მახასიათებლები შედის ისეთ დარგებში, რომლებშიც პროგრამის კურსდამთავრებულ ბაკალავრებს შეეძლება პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმება:

- მუსიკალურ საგანმანათლებლო, კულტურულ დაწესებულებებში და შემოქმედებით ორგანიზაციებში, აუდიო ხელოვნების, ტელე და რადიომუშაობაში, ხმის ჩამწერ ინდუსტრიაში;

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში – პედაგოგიკა (სკოლამდელ განათლებაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სპეციალიზებულ მუსიკალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში) და სხვა.

თუმცა, პროგრამის სასწავლო გეგმას აქვს ძალიან შეზღუდული ფოკუსი პედაგოგიური უნარებისა და კომპეტენციების განვითარებასთან დაკავშირებით; არსებობს მხოლოდ ცალკეული საგნები, როგორებიცაა "ზოგადი და მუსიკის ფსიქოლოგია" და "მუსიკის ესთეტიკა", და არ არსებობს კონკრეტული პედაგოგიური საგნები და არც პედაგოგიური პრაქტიკა. შეთავაზება შეიძლება მოიცავდეს მეთოდოლოგიურ სემინარებს ძირითადი საგნის პროფესორთან და პრაქტიკას სამუსიკო სკოლაში. მეორეც, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას დადგინდა, რომ მათი უმეტესობა მომავალ კარიერას პედაგოგიურ საქმიანობაში არ გეგმავს. შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, აწსუ-მ უნდა გაზარდოს მოტივაცია პედაგოგიური საქმიანობის კუთხითაც.

განათლებისა და მუსიკალური შესრულების სფეროში სხვადასხვა

ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და კავშირის დამყარება (ქუთაისის ოპერის თეატრი, ქუთაისის და რეგიონის სამუსიკო სკოლები) აუცილებლად დაეხმარება სტუდენტებს დაუკავშირონ თეორია პრაქტიკას, რაც ასევე გაზრდის მათ მოტივაციას.

სტუდენტების უნარების განვითარება პროგრამის სასწავლო გეგმის მიღმა. სტუდენტების ჩართვას სასწავლო გეგმის გარდა სხვადასხვა აქტივობებში მხარს უჭერს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (2018-2019 სასწავლო წლიდან), რომლის მიხედვითაც, სტიპენდიის მინიჭების ერთ-ერთი კრიტერიუმი სტუდენტის კლასგარეშე აქტივობაა. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტები კურიკულუმის მიღმა ჩართულნი არიან რამდენიმე ტიპის აქტივობაში; ძირითადი აქცენტი კეთდება საკონცერტო აქტივობაზე (ქართული კლასიკური მუსიკა, სადღესასწაულო/სამახსოვრო/საიუბილეო კონცერტები, საანგარიშო კონცერტები, პირველი კურსის სტუდენტების გაცნობითი კონცერტები, კამერული მუსიკის სადამოები, ტურის კონცერტები, მაგ., ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში), საჯარო ღონისძიება (2022 წელს მონაწილეობა სახელოვნებო სატელევიზიო კონკურს-ფესტივალში „თეთრი თოლია“) და სტუდენტების მონაწილეობა თეორიულ კონფერენციებში „ბალანჩივაძეების ოჯახი“ (2022) და „თაობათა ცვლა“ (2023). ჩამოთვლილი აქტივობები ძირითადად მოიცავს კონცერტებს. არ არის მოწოდებული ინფორმაცია „საშემსრულებლო ხელოვნების“ სტუდენტების მონაწილეობაზე პროფესიულ კონკურსებში, მასტერკლასებში, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ან საზღვარგარეთ სწავლის შესახებ და ა.შ. ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებმა არ გამოხატეს მოტივაცია შეაჩერონ/უარი თქვან მათ მიმდინარე სამუშაოზე და საზღვარგარეთ წავიდნენ სასწავლებლად. აწსუ-მ უნდა იმუშაოს სტუდენტების ჩართულობაზე სასწავლო გაცვლით პროგრამებში, მაგალითად, ერაზმუსი, რათა გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესი, ასევე გაიზარდოს სტუდენტების მოტივაცია და მრავალფეროვნება მათ მხატვრულ საქმიანობაში. კურსდამთავრებულთა კარიერისა და შემდგომი საქმიანობის მონიტორინგი ძალზედ მიზანშეწონილია „საშემსრულებლო ხელოვნების“ პროგრამის აქტუალიზაციისა და გაუმჯობესებისთვის.

მოკლე შენიშვნები არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით:

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრსა და აწსუ-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები მხედველობაში არ მიიღება, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.
2. ექსპერტები არაერთხელ ამახვილებენ ყურადღებას პროგრამაში შემოქმედებითი უნარების განვითარების მნიშვნელობაზე, ძალზე მნიშვნელოვანია თეორიულ დისციპლინებში შემოქმედებითი დავალებების ჩართვა; შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს რეკომენდაციას (რეკომენდებულია თეორიულ დისციპლინებში შემოქმედებითი დავალებების ჩართვა) დასკვნაში
3. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამის აღწერილობის მიხედვით (იხ. პროგრამის სასწავლო გეგმა, განყოფილება „დასაქმების სფეროები“), პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრებს შეუძლიათ დასაქმდნენ პედაგოგად, ანუ: „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დასაქმების სფეროა–

პედაგოგიკა. (სკოლამდელ განათლებაში, ოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სპეციალიზებულ მუსიკალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში)“.

თუმცა, ექსპერტებმა შენიშნეს, რომ პროგრამის სასწავლო გეგმის კურსებს არ გააჩნია პედაგოგიური უნარების განვითარებისთვის საჭირო თემები და სწავლების მეთოდები (როგორცაა მეთოდოლოგიური სემინარები, პედაგოგიური პრაქტიკა მუსიკალურ სკოლაში და ა.შ.). უფრო მეტიც, არგუმენტირებულ პოზიციაში გამოთქმული წინადადება, რომ „კურსდამთავრებული ვერ დასაქმდება მასწავლებლად“

ეწინააღმდეგება ციტირებულ პროგრამის სასწავლო გეგმას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ საჭიროა პროგრამის კურსებში, პედაგოგიური უნარების განვითარებისთვის საჭირო თემებისა და სწავლის მეთოდების ჩართვა;

ამიტომ, რეკომენდაცია რჩება უცვლელი. სხვა შემთხვევაში, პროგრამის კურიკულუმი არსებითად უნდა შეიცვალოს და ამოღებულ იქნას/წაიშალოს ზემოთხსენებული წინადადება (ანუ ის, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია პედაგოგად დასაქმება), რადგან ეს განცხადება პროგრამაზე სწავლის მსურველებისთვის არის შეცდომაში შემყვანი და შესაძლოა არასწორად გაიგონ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები
- o აწსუ-სა და ქუთაისის ოპერის თეატრს შორის მემორანდუმის პროექტი
- o გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- o გაფორმდეს მემორანდუმი ქუთაისის საოპერო თეატრთან, სასწავლო გეგმის ფარგლებში, სტუდენტების თეატრალური ორკესტრისა და გუნდის საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
- o დოკუმენტირებულ იქნას სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხი სხვადასხვა ანსამბლის კურსებში (ორკესტრი, გუნდი, კვარტეტი, ანსამბლი), რომლებიც საჭიროებენ დამატებით პერსონალს ან/და აღჭურვილობას.
- o რეკომენდებულია თეორიულ დისციპლინებში ზოგიერთი შემოქმედებითი ამოცანის ჩართვა (მაგალითად, მცირე ნაწარმოების კომპოზიცია [ვარიაციები, ფუგა, მინიატურა] განხილული პერიოდის / კომპოზიტორის სტილში [ბაროკო, კლასიკა, რომანტიზმი] კურსში "მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი").
- o იმისათვის, რომ პროგრამის ოფიციალურ განცხადებას შეესაბამებოდეს მტკიცება, რომ პროგრამის გავლის შემდეგ ბაკალავრებს შეუძლიათ დასაქმდნენ პედაგოგებად („საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში – პედაგოგიკა (სკოლამდელ განათლებაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სპეციალიზებულ სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებში) და სხვა. ") პედაგოგიური უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია კურსებში თემებისა და სწავლების მეთოდების

შეტანა, მაგალითად მეთოდოლოგიური სემინარები, პედაგოგიური პრაქტიკა მუსიკალურ სკოლაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უაღრესად გონივრული იქნება, კურსდამთავრებულთა კარიერის შესახებ ინფორმაციისთვის თვალყურის დევნება და ანალიზი; გაიზარდოს სტუდენტთა მოტივაცია და ჩართულობა უფრო მრავალფეროვან სახელოვნებო აქტივობებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტების ყოვლისმომცველმა ანალიზმა და ადგილზე ვიზიტის დროს ინფორმაციის შეგროვებამ გამოავლინა, რომ პროგრამის სხვადასხვა ნაწილში-თვითშეფასების ანგარიში (SER), სასწავლო გეგმა და სილაბუსები - ნაჩვენები სწავლების მეთოდები არ შეესაბამება ერთმანეთს:

1 თვითშეფასების ანგარიშში მითითებული მეთოდები განსხვავებულია სასწავლო კურსების თავისებურებების მიხედვით. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი; განმარტებითი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; აბსტრაქტის ან ესეს შესრულება; ევრისტიკული მეთოდი; დემონსტრაციული მეთოდი; დისკუსია/დებატები; ანალიზისა და სინთეზის მეთოდები; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; გონებრივი იერიში; დიალექტოლოგიური და ფოლკლორული პრაქტიკა, ტექსტის/მასალის კომენტირება, ინტერპრეტაცია და ანალიზი; მასალის დამოუკიდებლად მოძიება და შესწავლა; კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, შედარება-კონტრასტის მეთოდი და ა.შ.

ზოგიერთი დასახელებული მეთოდი შეესაბამება სასწავლო კურსს და გამოიყენება აწსუ-ს საგნებსა და მუსიკალურ-თეორიულ საგნებში, როგორებიცაა „მსოფლიო კულტურის ისტორია“, „მსოფლიო და ქართული კინოს ისტორია“, „საგუნდო ლიტერატურა“, „ჯაზის ხანის ამერიკული კულტურა“, „სოლფეჯიო“, „საფორტეპიანო ხელოვნების ისტორია“ და სხვ. – განმარტებითი მეთოდი; დემონსტრაცია; დისკუსია/დებატები; ჯგუფური სამუშაო; ანალიზი.

ასევე, თვითშეფასების ანგარიშში შეინიშნება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად არის ჩართული მეთოდურ ტრენინგში.

2. მეთოდები სასწავლო გეგმაში – ინდივიდუალური სწავლება/ხელმძღვანელობა; ჯგუფური სწავლება (ლექცია, პრაქტიკული, ურთიერთსწავლება, შესრულება და სხვა); მასტერკლასი; პრეზენტაცია; სტაჟირება/პრაქტიკა; შერეული/თანამშრომლობითი სწავლება (ანსამბლი, საგუნდო, საორკესტრო კლასები, შემოქმედებითი პროექტები). აღნიშნულ სიაში განხილულია მეთოდები (პრეზენტაცია; სტაჟირება/პრაქტიკა; შერეული/თანამშრომლობითი სწავლება) და სწავლების ფორმები (ინდივიდუალური, ჯგუფური სწავლება, მასტერკლასი).

3. საშემსრულებლო ხელოვნების საგნების სილაბუსებში მოცემული მეთოდები (კლავიშებიანი ინსტრუმენტები - ფორტეპიანო, ვოკალი, სიმებიანი ინსტრუმენტები, ვოკალური ანსამბლი, ანსამბლის კლასი, ვოკალური ანსამბლი, ოპერის სწავლება და სხვ.) - სწავლების ინდივიდუალური მეთოდი; დემონსტრაციული მეთოდი; ინდივიდუალური და ღია გაკვეთილები; რეპეტიციები; კონცერტებში, ფესტივალებში, მასტერკლასებსა და კონკურსებში მონაწილეობისთვის მომზადება. ამ სიის ნაწილი (ღია გაკვეთილები; რეპეტიციები; კონცერტებში, ფესტივალებში, მასტერკლასებსა და კონკურსებში მონაწილეობისთვის მომზადება) არის არა მხოლოდ მეთოდები, არამედ სწავლების ფორმები და უნდა დაიხვეწოს. პროგრამის ზოგიერთ საგანში მეთოდების ჩამონათვალი მოითხოვს გამდიდრებას, მაგალითად:

საგანი	მეთოდები
ჩასაბერი ინსტრუმენტები 1-8	<ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალური მეთოდი • დემონსტრაციული მეთოდი
სავალდებულო ფორტეპიანი 1-4	<ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალური მუშაობა • პრაქტიკული მუშაობა
საორკესტრო კლასი 1-8	<ul style="list-style-type: none"> • ჯგუფური მუშაობა • დემონსტრაციული მეთოდი

ზემოთ ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებში (ისევე როგორც მუსიკალური სოლო, ანსამბლის და ა.შ. შესრულების სხვა კურსებში) შეიძლება შეტანილ იქნას სხვა მეთოდები (ასევე, აღებული თვითშეფასების ანგარიშიდან), მაგალითად: დისკუსიები, როლური თამაშების პედაგოგიკა, შემთხვევის შესწავლა. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების დროს, განმახორციელებელ პერსონალთან საუბრისას დადასტურდა ასეთი მეთოდების გამოყენების ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გადაიხედოს მუსიკალურ-

საშემსრულებლო სილაბუსების სწავლების მეთოდები.

მოკლე შენიშვნები არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით:

არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ქვე-სტანდარტ 2.3-ის ორივე რეკომენდაცია გათვალისწინებულია. ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები მხედველობაში არ მიიღება, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები
- o აწსუ ვებგვერდი <https://www.atstu.edu.ge>
- o გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- o სასწავლო გეგმაში მოცემული მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსებს და თვითშეფასების ანგარიშს.
- o გადაიხედოს სამუსიკო-საშემსრულებლო სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდები: მუსიკის სწავლების მეთოდები კურსებში სოლო, ანსამბლი და სხვა სახის შესრულებაში (კლავიშებიანი ინსტრუმენტები (ფორტეპიანო), ვოკალი, სიმებიანი ინსტრუმენტები, ჩასაბერი ინსტრუმენტები, გუნდის დირიჟორობა, ვოკალური ანსამბლი, ანსამბლის კლასი, საოპერო სწავლება, ორკესტრის კლასი, სავალდებულო ფორტეპიანო) უნდა გამდიდრდეს ისეთი მეთოდებით, როგორებიცაა დისკუსიები, როლური პედაგოგიკა, შემთხვევის შესწავლა და ა.შ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

შეფასება

გთხოვთ, კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა	შეაფასოთ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	სტანდარტის ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	აღნიშნულ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში (კლავიშებიანი ინსტრუმენტები/სიმებიანი ინსტრუმენტები/ჩასაბერი ინსტრუმენტები/ვოკალი/გუნდის დირიჟორობა) სტუდენტების შეფასება ხორციელდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ.

საგანმანათლებლო კომპონენტი ფასდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებებს.

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს: სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) - არაუმეტეს 30 ქულა; შუალედური გამოცდა- არანაკლებ 30 ქულა; დარჩენილი 40 ქულა ენიჭება ფინალურ გამოცდას. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.

სასწავლო კურსის სილაბუსები მოიცავს ინფორმაციას შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგების მიხედვით, მათ აქვთ შესაძლებლობა კურსის დაწყებამდე ჰქონდეთ წვდომა სილაბუსებზე. გარდა ამისა, პირველი ლექციის დროს კურსის ლექტორი სტუდენტებს აცნობს შეფასების მიმდინარე სისტემას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ შეფასების ფორმები, ზოგიერთ შემთხვევაში, არ ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და ვერ უზრუნველყოფს ამ კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას (იხ. კომპონენტი 1.5). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის სტუდენტები არ არიან ჩართულნი სასწავლო პროცესის მართვის არსებულ ელექტრონულ სისტემაში (Edean).

ამის გამო, სტუდენტები ვერ იღებენ შეფასებებს ელექტრონულად, რაც აფერხებს სასწავლო პროცესის ორგანიზების მოქნილობას და არ შეესაბამება მოსწავლეთა შეფასების თანამედროვე სტანდარტებს (იხ. კომპონენტი 3.1).

სტუდენტებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად, დადასტურდა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს საკუთარ ძლიერ, გასაუმჯობესებელ მხარეებსა და მიღწეულ შედეგებზე. როგორც ადგილზე ვიზიტის დროს აღინიშნა, ლექტორები სტუდენტებს ლექციების დროს, ზეპირი განხილვის ფორმატში უკუკავშირს აწვდიან.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების დასაცავად და პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულება იყენებს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამას Turnitin. ამჟამინდელი ეთიკის კოდექსი მოიცავს დებულებებს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ და პლაგიატს არაეთიკურ ქცევებს შორის განიხილავს. უმაღლესი სასწავლებლის ზოგადი მიდგომის მიხედვით, ყველა ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე Turnitin-ის პროგრამაში, თუმცა საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის შემთხვევაში, მხოლოდ აკადემიური წერის კურსის ფარგლებში დაწერილი ნაშრომები ექვემდებარება პლაგიატზე შემოწმებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის გამოყენება პროგრამის სხვა კურსებში სექტემბრიდან იგეგმება. კურსში „აკადემიური წერა“ გამოყენებული პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი ასევე უნდა დაემატოს პროგრამის „საშემსრულებლო ხელოვნება“ სხვა შესაბამის კურსებში (რომლებშიც შედის შეფასების წერილობითი მეთოდები).

უმაღლეს სასწავლებელში უზრუნველყოფილია სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრება. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურის შესახებ. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ, თუმცა მექანიზმი ამ დრომდე არცერთ მათგანს გამოუყენებია. გასაჩივრების პროცედურა აღწერილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის No9 (17/18) დადგენილებაში „ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და დამატებითი(მეორადი) საგანმანათლებლო პროგრამების საგამოცდო პროცესის, ორგანიზებული ცენტრალიზაციისა და გასაჩივრების პროცედურის დამტკიცების შესახებ“. სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცესი მოიცავს გასაჩივრების ფარგლებში შექმნილი კომისიის მიერ ნაშრომის განხილვას. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა სააპელაციო კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს პრორექტორს, როგორც სააპელაციო კომისიის თავმჯდომარეს.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება სემესტრის დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლება აქვს, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული გასაჩივრების საფუძველზე მიმართოს რექტორის მოადგილეს...“. ამრიგად, ჩანაწერიდან გამომდინარეობს, რომ გასაჩივრების წესი ვრცელდება მხოლოდ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებაზე. დადგენილების სხვა ჩანაწერების ანალიზისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ ნებისმიერი შეფასება და მოცემულ ჩანაწერში არის ტექნიკური შეცდომა. იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებს არსებული გასაჩივრების მექანიზმის შესახებ ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია და შეძლონ მისი სრულად გამოყენება, გასაჩივრების წესში არსებული ტექნიკური შეცდომა უნდა გამოსწორდეს ისე, რომ მასში მითითებული იყოს, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ ნებისმიერი შეფასება.

დაწესებულება ანალიზებს მოსწავლის შეფასების შედეგებს. ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად განიხილავს სტუდენტის აკადემიური მოსწრების შედეგებს. მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზი, შესაბამისი ზომების შემუშავებისა და განხორციელების გზით, გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

მოკლე შენიშვნები არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით:

1. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ანტიპლაგიატის მექანიზმი (პროგრამა Turnitin) გამოიყენება სხვა კურსებშიც, როგორცაა: „მსოფლიო მუსიკის ისტორია“, „ქართული მუსიკის ისტორია“, „სიმებიანი საკრავების გუნდის შესრულების ისტორია“, „ისტორია“, „ფორტეპიანოს შესრულების ისტორია“, „ვოკალური შესრულების ისტორია“, „სასულე ინსტრუმენტების ჯგუფის შესრულების ისტორია“, „თანამედროვე პერფორმანსი“. თუმცა, ეს არ დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს. გარდა ამისა, პროგრამის კურიკულუმი შეიცავს ზემოთ ჩამოთვლილზე მეტ კურსს, რომელშიც საჭიროა რომ მოქმედებდეს პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმი (მაგალითად: „მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი“, „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება“, „ზოგადი და მუსიკალური ესთეტიკა“, „ჰარმონიის ისტორია და თეორია“, „ზოგადი და მუსიკალური ფსიქოლოგია“ და სხვ.). ამდენად, რეკომენდაცია პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმებთან დაკავშირებით უცვლელი უნდა დარჩეს.

2. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, აწსუ დაეთანხმა რეკომენდაციას („უზრუნველყავით, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია გასაჩივრების მოქმედი მექანიზმის შესახებ...“) და განმარტა, რომ ტექნიკური შეცდომა უკვე გამოსწორებულია. ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები მხედველობაში არ მიიღება; შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები
- o აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის No9 (17/18) დადგენილება „ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და დამატებითი(მეორადი) საგანმანათლებლო პროგრამების საგამოცდო პროცესის, ორგანიზებული ცენტრალიზაციისა და გასაჩივრების პროცედურის დამტკიცების შესახებ“.
- o პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის დოკუმენტი
- o ეთიკის კოდექსი

- o აწსუ ვებგვერდი www.atsu.edu.ge
- o გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- o „აკადემიური წერის“ კურსში გამოყენებული პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და პლაგიატზე რეაგირების მექანიზმი ასევე უნდა მოქმედებდეს „სამემსრულებლო ხელოვნების“ პროგრამის სხვა შესაბამის კურსებში (რომლებშიც შედის შეფასების წერითი მეთოდები).
- o იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით და შეეძლოთ მისი სრულად გამოყენება, გასაჩივრების წესში არსებული ტექნიკური შეცდომა იმგვარად გამოსწორდეს, რომ მასში მიეთითოს სტუდენტების შესაძლებლობა გაასაჩივრონ ნებისმიერი შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ სამემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (კლავიშებიანი ინსტრუმენტები/სიმებიანი ინსტრუმენტები/ჩასაბერი ინსტრუმენტები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა) აქვს საჭირო მექანიზმები სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმების საკითხებზე შესაბამისი კონსულტაციისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის.

სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან. ადგილზე კონსულტაციასთან ერთად, კონსულტაციისთვის გამოიყენება კომუნიკაციის ელექტრონული ფორმებიც. სტუდენტების საკონსულტაციო საათები შედის პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვაში. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები ხშირად იღებენ კონსულტაციებს პერსონალისგან პროფესიულ/კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

სტუდენტები დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალისგან იღებენ შესაბამის კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ასევე ხელმისაწვდომი სერვისების, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, კარიერული განვითარებისა და ადგილობრივი/საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ. გასაუბრების შედეგების მიხედვით, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან დაწესებულებაში არსებული კონსულტაციების შესახებ.

სტუდენტების შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები პირველკურსელებთან. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად ასევე გაირკვა, რომ ინტეგრაციის პროცესში ეფექტური და დამხმარე იყო უმაღლეს სასწავლებელში არსებული ტუტორთა ინსტიტუტი. ტუტორები აძლევენ რჩევებს ბაკალავრიატის სტუდენტებს და პასუხისმგებელნი არიან სტუდენტების მხარდაჭერასა და განვითარებაზე. ტუტორის მიზანია სტუდენტების აქტიური ჩართვა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით

საქმიანობაში. საშემსრულებლო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებსა და აქტივობებში. მაგალითად, სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ კონცერტებში, მუსიკალურ საღამოებში, დარგთან დაკავშირებულ კონკურსებსა და კონფერენციებში. თუმცა, შესწავლილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სტუდენტებს არ აქვთ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სათანადო შესაძლებლობა. აწსუ-ს წარმომადგენლების თქმით, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ნაკლებობა განპირობებულია იმით, რომ პროგრამა შედარებით ახალია (პირველად აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს), დაწესებულება მუშაობს პროგრამის სტუდენტებისთვის შექმნას საერთაშორისო შესაძლებლობები. ადმინისტრაციულმა პერსონალმა, ზემოაღნიშნული საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი აქტივობების აღწერისას ახსენა მხოლოდ თურქეთის ყარსის უნივერსიტეტთან დაგეგმილი მემორანდუმი. ამრიგად, დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობა, რომ სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები შექმნას.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების თქმით, აწსუ-ში ადგილობრივი/საერთაშორისო ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ სტუდენტების ინფორმირების ძირითადი წყაროა კორპორატიული ელექტრონული ფოსტა და დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასა და საჭირო ინფორმაციის მიღებაში. თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის სტუდენტები ჯერ არ არიან ამ სისტემაში ჩართულნი. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ იგეგმება სტუდენტების ჩართვა სასწავლო პროცესის მართვის არსებულ ელექტრონულ სისტემაში. ელექტრონული პორტალის არსებობას გადამწყვეტი როლი აქვს სტუდენტების ინტერესების უზრუნველყოფაში, როგორცაა სტუდენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მოქნილობის გარანტია და აკადემიურ/მოწვეულ/ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაციის გამარტივება. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის სტუდენტების ჩართვა სასწავლო პროცესის მართვის მოქმედ ელექტრონულ სისტემაში.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილი დასაქმებულია საკუთარი პროფესიით. დაწესებულებას აქვს სტუდენტური კარიერის განვითარების ცენტრი, რომელიც სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის, ვაკანსიების შესახებ სტუდენტების ინფორმირებას, დასაქმების ფორუმების ორგანიზებას და ა.შ. უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისთვის მხარდაჭერის პროცესში. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა დამსაქმებელ ორგანიზაციასთან, მათ შორის, გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლებთან და ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან თანამშრომლობა. ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ თეატრთან თანამშრომლობა ამ ეტაპზე მემორანდუმით არ არის უზრუნველყოფილი, თუმცა, ამ საკითხზე დამსაქმებელსა და დაწესებულებას შორის შეთანხმება უკვე არსებობს და მემორანდუმის გაფორმება უახლოეს მომავალში იგეგმება.

შესწავლილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები ადასტურებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობას პროგრამის ცვლილების პროცესში. პროგრამის შესაცვლელად, ასევე სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა საერთო კმაყოფილების, საჭიროებების, გამოწვევების შესასწავლად და შესაბამისი ღონისძიებების დასაგეგმად, დაწესებულება იღებს უკუკავშირს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან გამოკითხვების (კმაყოფილების კვლევა, ლექტორების შეფასება) და ადგილზე/ონლაინ შეხვედრების მეშვეობით. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ჩატარებული გასაუბრებიდან არ დადასტურდა სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების ანალიზის დოკუმენტის არსებობა და აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირების დაგეგმილი ღონისძიებები. ლექტორების შეფასებების ანალიზი არის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც ეხმარება დაწესებულებას გაითვალისწინოს სტუდენტების ინტერესები, უზრუნველყოს მათი უფლებების დაცვა და მოახდინოს სათანადო რეაგირება სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებზე. აქედან გამომდინარე, სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების შედეგები უნდა გაანალიზდეს, რათა დაწესებულებამ მხედველობაში მიიღოს სტუდენტების უკუკავშირი.

მოკლე შენიშვნები არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით:

1. არგუმენტირებული პოზიციის განცხადება, რომ ინფორმაცია საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის არგუმენტად რეკომენდაციის შესაცვლელად („დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობა სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შესაქმნელად“).

პირველ რიგში, რეკომენდაცია ეხება გაცვლითი პროგრამების არსებობას და არა სტუდენტების ინფორმირების მექანიზმებსა და ეფექტურობას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე განმარტავს, რომ აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში ფასდება კონკრეტული პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები და არა მთელი უსდ-ს მდგომარეობა ამ მხრივ. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

2. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, აწსუ ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს იმისათვის, რომ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს, „საშემსრულებლო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვა.

მიუხედავად ამისა, ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა მტკიცებულება ჩატარებული სამუშაოების შესახებ. საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2019 წლიდან. თუმცა, დაწესებულებამ გასაუბრების დროს, ვერ წარმოადგინა ვერცერთი არგუმენტი იმის ასახსნელად, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამ დრომდე, პროგრამის სტუდენტების ჩართვა eDean-ში. ამ

მიზეზით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია („საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესის მართვის არსებულ ელექტრონულ სისტემაში“) უნდა დარჩეს უცვლელად.

3. არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ანალიზი კეთდება წარმოდგენილი კითხვარების საფუძველზე. ადგილზე ვიზიტის დროს, მოვითხოვეთ ანალიზის დოკუმენტი, თუმცა არ მოგვაწოდეს. შესაბამისად, რეკომენდაცია („სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების შედეგები უნდა გაანალიზდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულების მიერ სტუდენტების უკუკავშირის გათვალისწინება“) კვლავ აქტუალურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა
- o გამოკითხვის შედეგები;
- o სტუდენტების მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები
<https://atsu.edu.ge/en/office/11-students-support>
- o აკადემიური საბჭოს დადგენილება No30(17/18) „უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“
- o აწსუ ტუტორი <https://atsu.edu.ge/en/office/11-students-support>
- o მემორანდუმები
- o სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა
<http://edean.atstu.edu.ge/dekanati/>
- o აწსუ ვებგვერდი www.atstu.edu.ge
- o გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- o დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობა სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შესაქმნელად.
- o საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესის მართვის არსებულ ელექტრონულ სისტემაში.
- o სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების შედეგები უნდა გაანალიზდეს, რათა დაწესებულებამ მხედველობაში მიიღოს სტუდენტების უკუკავშირი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
------------	-------------------------------	--	--	---------------------------------------

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---	--------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

- o მტკიცებულებები/ინდიკატორები
- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საგანმანათლებლო და პრაქტიკულ/შემოქმედებით კომპონენტებს. პროგრამის თითოეულ კურსს უძღვებიან პროფესორები და მოწვეული პედაგოგები ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. მათ აქვთ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რომ დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, რაც გამოიხატება დარგში პროფესიული კვალიფიკაციის ფლობით, შემოქმედებითი და საშემსრულებლო აქტივობებით, ასევე კონფერენციებზე, პუბლიკაციებსა და მასტერკლასებზე წარმოდგენილი ნაშრომებით. ამრიგად, პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ეს პირობები დადასტურდა გასაუბრებაზე - განმახორციელებელმა პერსონალმა აჩვენა პროფესიულ-პედაგოგიური გამოცდილება, მუსიკალურ სფეროში სწავლების სპეციფიკის, შეფასების მეთოდებისა და კრედიტების სისტემის ცოდნა. ასევე, უნივერსიტეტში არსებული სტუდენტების შეფასების სისტემის ცოდნა.

აღსანიშნავია, რომ აწსუ-ს მიერ აკრედიტაციისთვის წარდგენილი ორი დოკუმენტი („ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ“; „განმახორციელებელი პერსონალის სია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მითითებით“) გვაწვდის განსხვავებულ მონაცემებს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ:

1. „ინფორმაცია რაოდენობრივი მონაცემების შესახებ...“ აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 24 (3 პროფესორი, 16 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 4 ასისტენტი), 20 მოწვეული პერსონალი.

2. „განმახორციელებელი პერსონალის სიაში...“ აკადემიური პერსონალი არის 20 (3 პროფესორი და დანარჩენი 17 ასოცირებული პროფესორი) და 24 მოწვეული პერსონალი.

ანგარიშში, ჩვენ ვყვრდებით „ინფორმაციას რაოდენობრივი მონაცემების შესახებ...“, სადაც მოცემულია პროგრამაში ჩართული პერსონალის შემდეგი რაოდენობა:

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	44	18	1	20
- პროფესორი:	3	3	0	3
- ასოცირებული პროფესორი	16	4	1	16
- ასისტენტ-პროფესორი:	1	-	-	1
- ასისტენტი	4	-	-	4
მოწვეული პერსონალი	20	11	0	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამის ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტები ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შემდეგი თანაფარდობით: 20 პროფესორი, 24 მოწვეული სპეციალისტი/მასწავლებელი. ამ მომენტისთვის (სულ 38 სტუდენტი) პროფესორებისა და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ნორმის ფარგლებშია: აკადემიური პერსონალის წლიური მომზადებისა და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების რაოდენობა შეესაბამება 2022 წლის 6 ივლისის აკადემიური საბჭოს №61 (21/22) დადგენილებით დამტკიცებულ „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმებს“. სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, დაწესებულებამ უნდა გაზარდოს პერსონალი კლავიშებიანი, საგუნდო დირიჟორობის, სიმებიანი და ჩასაბერი საკრავების სპეციალისტების მიმართულებით.

აკადემიური პერსონალის შემესტრუღად განახლებადი დატვირთვის სქემა

მოიცავს საგანმანათლებლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდურ და სტუდენტ-მეთოდურ სამუშაოებს და შეადგენს 1500 საათს, მათ შორის:

- ა) 500 საათი – სწავლების/სწავლის დატვირთვა (სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდური, სასწავლო-ორგანიზაციული);
- ბ) 1000 საათი – სამეცნიერო-მეთოდური სამუშაო.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენციები პროგრამის სასწავლო

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სფეროში. ისინი პირადად არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში, რაც დადასტურდა გასაუბრების დროს. სალექციო კურსები, რომლებსაც ასწავლიან პროგრამის ხელმძღვანელები (ასოცირებული პროფესორი ირინა სარუხანოვა და მუსიკისმცოდნე ტატიანა ჯავახიშვილი), პუბლიკაციები და საკონფერენციო ნაშრომები მიჰყვება პროგრამის სპეციფიკას, ისინი აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში და აქვთ პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. 2022 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ტატიანა ჯავახიშვილი აირჩია მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრად.

პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერს საიმედო და კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ამჟამად, პროგრამას ახორციელებს ხელოვნების დეპარტამენტი, რომელიც ფუნქციონირებს ისტორიისა და არქეოლოგიის კათედრაზე. დასაქმებული პერსონალი სტუდენტებს სწავლის პროცესში ეხმარება. მათი ჩართულობა და კვალიფიკაცია დადასტურდა

ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ კლასში, სტუდენტურ სამსახურში, დეკანატში მომუშავე სპეციალისტებისა და დამხმარე პერსონალის აქტიურობა და ურთიერთდამოკიდებულება მიმართულია სასწავლო პროცესის მიზნების შესრულებასა და შედეგების გაუმჯობესებაზე. დამხმარე პერსონალის ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობებით, რომლებიც ასევე ერთვის ფაკულტეტის დებულებას. გაჩნდა მუსიკის დეპარტამენტის დაარსების სურვილი, რაზეც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დათანხმდნენ და გამოთქვეს სურვილი, რომ პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით შექმნან მუსიკის დეპარტამენტი.

მოკლე შენიშვნები არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით:

არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, აწსუ-ს დოკუმენტაციაში ნახსენები სიტყვა „უკრაინა“ იყო თარგმანში დაშვებული ტექნიკური შეცდომა. შესაბამისად, რეკომენდაცია გადავიტანეთ რჩევებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მითითებით
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV).
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი მონაცემები (CV), პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება No173 (28.02.2018).
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 ივნისის No61 (21/22) დადგენილება პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ:

„აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები“

- o გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o თვითშეფასების ანგარიშში, 21-ე გვერდზე, გრაფაში მტკიცებულებები/ინდიკატორები, დოკუმენტი მოხსენიებულია სათაურით: „უკრაინის სოციალურ მუშაკთა ასოციაციების ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლობითი საბჭოს რეზოლუცია No173. 28.02.2018. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“. უკრაინის - სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომაა. რეკომენდებულია იურიდიული დოკუმენტების შემოწმება, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველაფერი გასაგებია.
- o სასურველია სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, დაწესებულებამ გაზარდოს პერსონალის რაოდენობა საგუნდო დირიჟორის, კლავიშებიანი, სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების სპეციალისტების მიმართულებით.

შეფასება

შეფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის პერსონალის შეფასება. აწსუ ახორციელებს პერსონალის უწყვეტ შეფასებას, როგორც უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილი. გამოიყენება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში წინასწარი ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვით არის განსაზღვრული; აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და რექტორის მოადგილე; საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების (CV) ელექტრონული ვერსიები მუდმივად იქმნება და ახლდება.

თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება როგორც წლიური დატვირთვის (დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი) და კოლეგიური ურთიერთდასწრების, ასევე სტუდენტების გამოკითხვის გზით. ფაკულტეტი სისტემატურად აფასებს პროგრამაში ჩართულ პერსონალს კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკის მეშვეობით (2017 წლიდან). სტუდენტების კმაყოფილების კვლევას ატარებს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აწსუ-ს სტუდენტების ჩართულობისა და კმაყოფილების შესწავლა მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდას და სწავლების ხარისხის ამაღლებას. გამოკითხვა მოიცავს კითხვებს, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო პროცესის შეფასებასთან; სტუდენტი აფასებს ლექციის/პრაქტიკული კურსების ხარისხს, სწავლების თანამედროვე მეთოდების მრავალფეროვნებას, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების გამჭვირვალობას და ა.შ. გამოკითხვის შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ სტუდენტების ჩართულობის ხარისხი პროგრამის ცვლილება/განვითარებაში, მათი კმაყოფილება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობითა და მათთვის შეთავაზებული სერვისებით.

ადგილზე დათვალთქმებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა გვაცნობეს, რომ გამოკითხვები არ ქვეყნდება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს ზოგად დასკვნებს პერსონალის/კურსის შეფასებასთან დაკავშირებით. უკუკავშირის მნიშვნელობა უკვე ხაზგასმული იყო ზემოთ, 3.1 ქვესტანდარტში, რომ რჩევის სახით, „სტუდენტთა მიერ ლექტორების შეფასების შედეგები უნდა გაანალიზდეს, რათა დაწესებულებამ მხედველობაში მიიღოს სტუდენტების უკუკავშირი.“

პროგრამის პერსონალის განვითარება. აწსუ პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის იყენებს შემდეგ სერვისებს: მივლინება ტრენინგებსა და

სამეცნიერო კონფერენციებზე; აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები; სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტის ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება; უცხო ენების კურსები; აწსუ-ს სამეცნიერო საკონფერენციო მომსახურება. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „საშემსრულებლო ხელოვნების“ პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ტრენინგებში, მუდმივად აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს, მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში და ეწევა შემოქმედებით საქმიანობას (მუსიკოს-შემსრულებელთა შეჯიბრებები, მომზადება/მონაწილეობა კონცერტებში). აღინიშნა, რომ პროგრამის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ორგანიზატორია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თუმცა პროგრამის არცერთი თანამშრომელი/მუსიკოსი არ არის ჩართული ამ მულტიდისციპლინური ღონისძიების ორგანიზებაში ან სამეცნიერო კომიტეტში.

უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობა წახალისებულია აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული 29.09.2022 წლის No.12(22/23) დადგენილებით. დადგენილება ხელს უწყობს სტატიების გამოქვეყნებას მაღალრეიტინგულ სამეცნიერო პუბლიკაციებში. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საშემსრულებლო ხელოვნების“ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ძირითად ნაწილს შეადგენენ ხელოვან-მუსიკოსები, თავიანთი ძირითადი საქმიანობით მხატვრულ-მუსიკალურ ღონისძიებებსა და შემოქმედებაში. ამავდროულად, საშემსრულებლო პერსონალის საქმიანობის შეფასება გათვალისწინებულია დატვირთვის გეგმაში და გამოითვლება გარკვეული მხატვრული ნაწარმოებისთვის გატარებული საათების რაოდენობით. სანამ პირადი მონაცემების (CV) ამჟამინდელ შაბლონში მხატვრული აქტივობა ძირითად აქტივობებს შორის არ არის (როგორცაა „VIII. სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა“), საქმიანობა შეიძლება მხოლოდ სასწავლო გეგმის ბოლოს იყოს შეტანილი „სხვა აქტივობების“ სახით. შაბლონი ძირითადად მორგებულია სამეცნიერო პერსონალზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნას პირადი მონაცემების შაბლონი, რომელშიც გამოყოფილი იქნება თავისუფალი ადგილი მხატვრულ საქმიანობისთვის, რომელიც ფაქტობრივად უნდა შეესაბამებოდეს სამეცნიერო მუშაობისა და საქმიანობის დადგენილ კრიტერიუმებს. მხატვრული აქტივობის განყოფილებას შეიძლება ეწოდოს „მხატვრული ნაწარმოებების სია“, რომელიც მოიცავს ქვეგანყოფილებებს „შესრულება/ხელოვნების ნაწარმოების გამოქვეყნება“ (შეიძლება მოიცავდეს კონცერტზე შესრულებას, დირიჟორობას, კონცერტის ჩატარებას მუსიკათმცოდნედ, კომპოზიტორებისთვის - მუსიკალური ნაწარმოების შედგენა), "ხელოვნების ნიმუშების, ხმის, ვიდეოჩანაწერების გამოშვება", „მასტერკლასები“ და ა.შ.

პროგრამის პერსონალის წარმოდგენილი პირადი მონაცემების (CV-ების) მიხედვით, უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს პროგრამის პერსონალის მობილურობა პარტნიორ უნივერსიტეტებში, წახალისოს და ხელი შეუწყოს პერსონალის მონაწილეობას პროექტებში, ტრენინგებსა და სემინარებში, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მხატვრულ-მუსიკალურ თემებსა და პრობლემებთან.

როგორც ქვესტანდარტ 4.1-შია აღნიშნული, ორ დოკუმენტში („განმახორციელებელი პერსონალის სია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მითითებით“ და „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ“ განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით არის შეუსაბამობა). უფრო მეტიც, ორივე დოკუმენტის შემთხვევაში შეიძლება გამოვხატოთ გარკვეული შეშფოთება განმახორციელებელი პერსონალის სტატისტიკასთან დაკავშირებით:

1) პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის დონე პირდაპირ კავშირშია განმახორციელებელი პერსონალის დემოგრაფიულ სტატუსთან, რომელიც ამჟამად შედგება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტებისგან. დოკუმენტი „განმახორციელებელი პერსონალის სია...“ გვაწვდის ნამდვილ ინფორმაციას. ის აჩვენებს სტატისტიკურ მდგომარეობას აფილირებული პერსონალის პოზიციაზე და საჭიროებს ყურადღების მიქცევას, რადგან პროგრამაში ახალგაზრდა თაობის პერსონალი არ არის ჩართული – ეს იმიტომ, რომ სიაში არიან მხოლოდ პროფესორები (3) და ასოცირებული პროფესორები (20).

2) ამის საწინააღმდეგოდ, დოკუმენტში „ინფორმაცია რაოდენობრივი მონაცემების შესახებ...“ ნათქვამია, რომ არის 3 პროფესორი, 16 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 4 ასისტენტი. მაგრამ მეორე მხრივ, თუ ამ დოკუმენტს მივიღებთ მხედველობაში, კადრების ბრუნვის მხრივ შეინიშნება ძალიან პასიური მდგომარეობა: ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში არ ხდებოდა როტაცია - არ დამატებულა ახალი აკადემიური და მოწვეული პერსონალი და არც ერთი მათგანი წასულა. უფრო მეტიც, კვლევითი აქტივობა ძალიან დაბალია - ბოლო 5 წლის განმავლობაში პერსონალმა, რომელიც სულ 44 თანამშრომლისგან შედგება, გამოაქვეყნა მხოლოდ 23 პუბლიკაცია და 34 -ჯერ მიიღო მონაწილეობა კონფერენციებში. რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წახალისება და უფრო ახალი, ასევე ახალგაზრდა პროფესიონალების ჩართვა, რომლებიც უდავოდ შექმნიან პერსონალის განახლების თანმიმდევრულ და გონივრულ სტრატეგიას, სხვადასხვა თაობის თანამშრომლობას და პროფესიონალიზმის დონეს და გააძლიერებენ კვლევით/საშემსრულებლო საქმიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV).
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ
- განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მითითებით
- მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის აკადემიური საბჭოს 29.09.2022 N12(22/23) დადგენილება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო პუბლიკაციებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების შესახებ.
- გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში მეტი ახალი პროფესიონალის ჩართვა უდავოდ შექმნის პერსონალის განახლების თანმიმდევრულ და გონივრულ სტრატეგიას, სხვადასხვა თაობის და პროფესიონალიზმის დონის მქონე პირთა თანამშრომლობას და გააძლიერებს კვლევით/საშემსრულებლო საქმიანობას.
- o სასურველია, შემუშავდეს რეზიუმეს (Curriculum Vitae) შაბლონი, რომელშიც იქნება დამოუკიდებელი განყოფილება, სადაც მიეთითება საშემსრულებლო საქმიანობა, რომელიც რეალურად შეესატყვისება სამეცნიერო შრომებისა და საქმიანობის დადგენილ კრიტერიუმებს; განყოფილებას შეიძლება ეწოდოს „მხატვრული ნამუშევრების სია“ და მოიცავდეს ქვე-სექციებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 .აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მატერიალური რესურსი ძირითადად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს, რაც გამოიკვეთა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე დამსაქმებლებთან ვიზიტებისა და დისკუსიების დროს.

პროგრამა აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს აწსუ-ს პირველ აკადემიურ კორპუსს (მის: თამარ მეფის #59) და მუსიკალური პროგრამის 23-ე კორპუსს (მის: კ. გამსახურდიას #43ა), უნივერსიტეტის სააქტო, დიდ და მცირე საკონცერტო დარბაზებს, მრავალფუნქციურ ცენტრს, უნივერსიტეტის ცენტრალურ და ფაკულტეტის ბიბლიოთეკასა და სამკითხველო ოთახებს, სამედიცინო პუნქტს, სახანძრო განყოფილებას, კომპიუტერულ ცენტრებს, პანდუსებს (სსსმ სტუდენტებისთვის) და ა.შ. დეპარტამენტების სალექციო და პრაქტიკულ სივრცეს, სასწავლო აუდიტორიებს - No. 1108, 1114, 1210, 1212, 1209, 1208. მატერიალურ რესურსებში ასევე შედის მუსიკალური ბიბლიოთეკა, აუდიტორიები ფორტეპიანოთი და აუდიტორია ორი როიალით, რომლებიც აუცილებელია როგორც სპეციალური საფორტეპიანო, ასევე საგუნდო დისციპლინებისთვის.

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ბიბლიოთეკა მოიცავს სავალდებულო ლიტერატურასა და სილაბუსით განსაზღვრულ სხვა სასწავლო მასალებს, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სანოტო ჩანაწერების პუბლიკაციებსა და მუსიკალურ-თეორიულ მასალას, რომლებიც განთავსებულია მუსიკალურ ბიბლიოთეკაში #23 კორპუსში. მუსიკალური ბიბლიოთეკის მონახულებისას დადასტურდა, რომ ეს ფონდი მნიშვნელოვანწილად შეიცავს დამატებით ლიტერატურას და რეგულარულად განახლდება.

2011 წლიდან უნივერსიტეტში ამოქმედდა ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის (OPAC) სერვისი. აქედან გამომდინარე, მთავარი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებთან და იძლევა შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემების გაცნობის შესაძლებლობას. ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზები განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე: http://www.atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=508&Itemid=762 &lang=en. ასევე, ბიბლიოთეკა დაინტერესებულ მომხმარებლებს სთავაზობს მრავალ სერვისს და სასწავლო კურსს.

სამემსრულებლო ხელოვნების პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ აწსუ-ს ბიბლიოთეკის შემდეგი ბაზებით: <https://www.cambridge.org/core>; <http://www.eifl.net/e-resources/oxford-journals-collection> <https://www.dukeupress.edu>; <https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche>; <https://www.sciencedirect.com/science/jrnallbooks/sub/artsandhumanities>; <https://www.scopus.com/home.uri> <http://search.epnet.com>; <https://www.jstor.org>. მიუხედავად იმისა, რომ აწსუ-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტებით, სტუდენტები ნაკლებად სარგებლობენ, რადგან დაწესებულებას არ გააჩნია წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისი ელექტრონული ბაზები. რეკომენდებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში დაემატოს კონკრეტული მუსიკალური კოლექციები, როგორცაა, მაგალითად, მონაცემთა ბაზები RILM, RISM, ასევე ProQuest Ebook Central, JSTORE Music Collection, EBRARY COLLECTION, Naxos Music Library, “Music and Dance Online“ (ProQuest), Medici

TV EDU, Bloomsbury video library, MGG Online, Taylor & Francis Online და ა.შ.

კორპუსი #23, სადაც მუსიკალური დისციპლინები ტარდება, შენობის მასშტაბი და პროექტი, შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს. ამჟამად, მუსიკალური კოლეჯის შენობა, რომელიც შემდგომში გახდა უნივერსიტეტის ნაწილი, მოწყობილია ნაწილობრივი მოხმარებისთვის (ახალი ელექტრო გაყვანილობა, გარემონტებული კამერული დარბაზი და კეთილმოწყობილი სველი წერტილები). აღნიშნული შენობის კეთილმოწყობა და საექსპლუატაციო მომზადება უნივერსიტეტმა გეგმურ აქტივობად სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე წარმოადგინა.

მატერიალურ რესურსთან ერთად, აღსანიშნავია სტუდენტების საჭიროებებზე გათვლილი სერვისები:

1. სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების ოფისი - შექმნილია ტემპუსის (TEMPUS) პროექტის ფარგლებში 2014 წელს, მისი მთავარი მიზანი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კონსულტირება და მხარდაჭერაა. სტუდენტებს, მათთვის საჭირო სერვისებისა და/ან ინფორმაციის მიღების მიზნით, 24 საათის განმავლობაში შეუძლიათ დაუკავშირდნენ სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურს, მათ შორის შემდეგ: ომბუცმენი, ფსიქოთერაპევტი, აწსუ-ს ტუტორი, აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი.

2. საგარეო ურთიერთობისა და განვითარების სამსახური - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობისა და განვითარების სამსახური დაარსდა 1994 წელს. სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრაციასა და ამავდროულად, უცხოელი სტუდენტებისთვის ყველა მომსახურების მიწოდებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- აწსუ ვებგვერდი <https://www.atsu.edu/ge/en/home>
- აწსუ-ს ბიბლიოთეკა <http://atsu.library.ac.ge>
- ექსკურსიები ადგილზე ვიზიტის დროს
- გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ელექტრონული მონაცემთა ბაზების დამატება, კონკრეტული მუსიკალური კატალოგები, რომლებიც შესაბამისია "საშემსრულებლო ხელოვნების" პროგრამისთვის, მაგალითად, მონაცემთა ბაზები RILM, RISM, ისევე როგორც ProQuest Ebook Central, JSTORE Music Collection, EBRARY COLLECTION, Naxos Music Library, "Music and Dance Online" (ProQuest), Medici TV EDU, Bloomsbury ვიდეო ბიბლიოთეკა, MGG Online, Taylor & Francis Online და ა.შ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- No. 23 კორპუსის მოწყობა და მომზადება, რომელიც უნივერსიტეტმა უახლოეს მომავალში დაგეგმილ აქტივობად წარმოადგინა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამამ წარმოადგინა ბიუჯეტი, რომელიც ოპტიმალური რაოდენობის 38 სტუდენტისთვის შედგება, სწავლის საფასურის შემოსავლებისგან. ფინანსური გეგმა, ძირითადად, ფარავს ლექტორებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას და სხვა არაპირდაპირ ხარჯებს. ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავალი შეადგენს 254 000 ლარს, ხოლო ხარჯები 251 000 ლარს.

აკრედიტაციის ექსპერტებისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში არსებული მონაცემებით, ინფრასტრუქტურისა და სხვა კომუნალური თუ საბიუჯეტო ხარჯებისთვის 27 000 ლარია გამოყოფილი. დაახლოებით 5 000 ლარია განკუთვნილი სხვა საქონლისა და მომსახურებისთვის, როგორცაა სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის შიდა გრანტები. უნივერსიტეტმა ფაკულტეტის ბიუჯეტში გამოყო წილი საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამის განვითარებისთვის დამატებითი თანხების უზრუნველსაყოფად, მათ შორის თანამშრომლებისა და სტუდენტების წახალისებისა და სტიპენდიების, ლიტერატურის შესაძენად და საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამისთვის საჭირო სხვა მატერიალური რესურსის შესაძენად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება No.175 (პროგრამების ფინანსური მხარდაჭერის დასაბუთების პრინციპები)
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 21.12.2021 N 82 დადგენილება აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის ფორმის დამტკიცების შესახებ.
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით და შესაბამისი კონცეფციებით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსახურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს ყოველწლიურ გამოკითხვებზე; ეფექტური მონიტორინგის შენარჩუნებისთვის, ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია შეფასების შედეგების გაანალიზებაში, სტრატეგიული განვითარების მიზნების იდენტიფიცირებისა და განვითარების ტენდენციების გამოვლენის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოვლენილი მიგნებების მიხედვით, უნივერსიტეტში პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები ზოგადად გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ თვითშეფასების პროცესმა და სამუშაო ჯგუფის შორის შესაბამისი დავალებების განაწილებამ უზრუნველყო შეფასების პროცესში და მის შემდეგ გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, ასევე სამომავლო განვითარების შესაბამისი შესაძლებლობები. ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს

გამოკითხვები მიმართულია სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენისკენ, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

აწსუ-მ დანერგა შიდა შემოწმების პრაქტიკა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტების გამოცდილების მქონე კოლეგები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამებს და ერთვებიან აკადემიური პერსონალის ტრენინგებში. სამემსრულებლო ხელოვნების (კლავიშებიანი ინსტრუმენტები / სიმებიანი ინსტრუმენტები / ჩასაბერი ინსტრუმენტები / ვოკალი / საგუნდო დირიჟორობა) პროგრამის შიდა შეფასება განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების განყოფილების უფროსისა და საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- აკადემიური საბჭოს დადგენილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკის შესახებ
- შიდა შეფასებები
- გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.1. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა, ძირითადად აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების გზით ხორციელდება, რასაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) ატარებს. უნივერსიტეტი განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებებს კი წარუდგენს პროგრამების ხელმძღვანელს შემდგომი განხილვისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან. პროგრამამ 2019 წელს გაიარა ვრცელი გარე შეფასების პროცესი, როდესაც პროგრამამ მიიღო 4 წლიანი აკრედიტაცია. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე ვიზიტის დროს დარწმუნდა, რომ ყველა წინა რეკომენდაცია პროგრამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს ურთიერთშეფასებას, როგორც გარე შეფასების პროცესის ნაწილს. პროგრამა დადებითად შეაფასა დარგის ადგილობრივმა ექსპერტმა, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა, ხაზი გაუსვა დარგის საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და მოთხოვნების, სასწავლო გეგმებისა და სწავლის შედეგების, ადამიანური, ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსების შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- კოლეგიალური შემოწმება
- გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

შეფასება

გთხოვთ, კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა	შეფასოთ	სტანდარტის	აღნიშნულ	
კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური

შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების მთავარ საშუალებას. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. აუცილებლობის შემთხვევაში ასევე ეწყობა ფოკუს ჯგუფები. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მზადდება თვითშეფასების ანგარიში, სტატისტიკური მაჩვენებლების, შიდა შეფასების შედეგების, პერსონალის შეფასების, სვოტ(SWOT) ანალიზისა და ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების გათვალისწინებით. შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე, პროგრამა დაიხვეწა და შეიცვალა.

პროგრამისთვის სარგებლის მომტანია იმავე და მასთან დაკავშირებული პროგრამების წარმომადგენლების მიერ კოლეგიური დაკვირვების პრაქტიკა. გარემო, ურთიერთდასწრება და კლასში მუშაობის შეფასება ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას და ქმნის პლატფორმას პროგრამის პერსონალს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულებისთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ბენჩმარქინგს ადგილობრივი ხელმისაწვდომი პრაქტიკებისთვის, რათა განავითაროს კონკურენტული ინდივიდუალური პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს ქართული უნივერსიტეტების გამოცდილებას საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამებთან დაკავშირებით - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თუმცა, რეკომენდებული იქნება, თუ პროგრამის განვითარების დროს მოხდება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება, რაც მოიცავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პრაქტიკას და შემდგომი განვითარების საჭიროებებს.

მოკლე შენიშვნები არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით:

არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, პროგრამის აკრედიტაციის პროცესში დაწესებულებამ გაითვალისწინა ადგილობრივი ქართული უნივერსიტეტების გამოცდილება; გაგრძელება უცხოური უნივერსიტეტების კარგი პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი. შესაბამისად, რეკომენდაცია „პროგრამის განვითარებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებასთან“ დაკავშირებით, რჩება უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- o საგანმანათლებლო პროგრამა
- o გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- o საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა
- o გასაუბრების შედეგები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- o პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდებულია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება და ამგვარად, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკებისა და მოთხოვნების ჩართვა შემდგომი განვითარებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

-

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

-

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობა შეა მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა პროგრამის	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რიმა პავლიონიენე,

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თამარ ჩხეიძე

რუსუდან თაყაიშვილი

თამთა ცხოვრებაძე

მარიამ გორგოძე